რა თქმა უნდა, ყვოდად წარმოყოფილი იყო დავით ჰანთობირის იმ სახით და იმ მოცუ-ლობით წარმოვადნა სპექტაკლიში. რამეხელაო რთმეში მან მოლოთენბოლო, მწირობო მს-ეიბ-ტვას რთლო პირბინბინ, რომელორე სო-კობის თეინაა იარბ, საბომწიფოთს სამსახორბიც რა ამავე დროს სახსობის ხოთრბობსა და ინტ-რბიბშიდა მშობინობო ირჩედა, სპექტაკლიში ქი აბოქსანდრი მეფის ბრმა იარბი, მინი ყორ-მობრბოთი მონაა, რომელიდა მწადაა ყვოლოდარ-დათმობაწეი წეიბითის, თლოთი მეფის რისხაა არ დამიხსახორბს სწორეოთ ასოთ აწად წარმოვად-იბინა იყო სტენაწეი მსახობბმა წეურბ ლთვე-რბიში.

მეჭმედების განიობარბის მინედათ სპექტაკ-ლიში თითი დრო მან თათმობილო სოლოთი მი-ლოქსისა რა ბირბაა ქოსხალამორბს, რომორბ-როლისა თინეიწ მინსობამე აბრობობს. უმე-ტარს შიმთბედაში სარინაწი იყო მარბოა და რა-იბრბულოთა თუნეიბის თანხმეო ირბსა რა იბა-ვი ბრბიც უნდა იყოთ მთმობრბოთი, დეოთაა-ბორბა, მოცეადევი, მსახობბოთა რა რთაა მის-მომობობის განიობარბბა მოიბიბის, სპექტაკ-ლითი მოქმედი ამბიროა, მინ თამაშზე ბიბობაა თამოკობიბოთი მოიწყობს მსაბობიბოთი თო რა-მიობობს მის სექტევიბებს, შიოინიბებს, პარო-თიბებს, ბრბობსა რა კბეობრბის მინეულ შიო-სიბბს თო არა, რთოთი იყო ყვოლოთი ამის მ-ყორბთამეო მიტანა, მარბამ მსახობბმა ამ სირბოლოთს თავი ვარბთა რა აამონისთნავე მიეჭიარა მყორბობის ყურბადედა, იყო დეკლ-მარბითა რ დანიბკობრბა, პაროთობობითა რა ვეკალითაც, გარეწულად ქოსხალამორა სოუ-



სტენა სპექტაკლიდან
„გმირთა ვარამი“



ლის შედეგებს ტიპური წარმომადგენელი. რომელსაც არავისგან არაფერი უსწავლია, მაგრამ ამ ცხოვრების თითქმის ყველაფერი იცის და მის შემფასებლად, მსჯელობად კი გვესახება. მსახიობი თავიდან ბოლომდე თანხარად ენერგიულად და აქტიურად ფუნქციონალურია. განსაკუთრებით, როცა თოჯინების მეშვეობით მართავს წარმოდგენას და მოძალადე მოურავის მკაცრულ ხალხს სიმართლის დამტკიცებაში ეხმარება. იგი მოქმედებითაც და სანახაობრივი წარმოდგენითაც ისეთი თვისებებით ამკობს მოურავს, იმდენი პარადიული ელემენტები შეაქვს მის დახასიათებაში, რომ შეფერს ეჭვი აღარ ეპარება ხალხის სიმართლეში და მოურავის ავტორობაში. ასე რომ, თენგიშ მაისურაძის თანამშავედრად შეუწყო სილი სპექტაკლის სანახაობრივი თვალსაზრისით გამდიდრებას, დემოკრატიკაციას, მის დინამიკურობას.

სწორი კოფიციანტი წარმავსების თავდაპირველი


სპექტაკლი უხუპერსინაჟიანი და პოლიფონური, ვარდა სტატიკებისა, მასში ოცდაათამდე გმირი მონაწილეობს. აქ არიან მარიამ დედოფალი (მზია მახვილაძე), რომელიც ხანო. წარკვეთილი ღმუხის, როცა შეიღებს მკერდი. დან გლეჯენ, ალექსანდრეს უფროსი ვაჟი ბატონიშვილი ერეკლე, მამის თხოვნით რომ ყაზაროს მთავრის ხიტოს ასულს ირთავს (წოდარ მალოზიძე), მისი უმრწამელი ძმები გიორგი და კონსტანტინე, რომლებიც მიქვლად მიაშავს სპარსეთსა და თურქეთში (ჭურაბ ჯორჯია, ალექო ნონიაშვილი), თავადები, მეფის სახლთუხუცესი ომან ჩოლოყაშვილი (ლადო ჯგერაშვილი), მთავარსარდალი შერმაზან ჩოლოყაშვილი (ზონდო გოაჩიძე), მდივანბეგი იასონი ჰაჭუვაძე (ანდრო კობალაძე) და ყვლანა ვაჩნაძე (გოიკი გილოვანი). რომელთაც ალექსანდრე ეჭვის თვალთ უყურებს. ქაზიხარო ბაკონიშვილი, მეფის რომ ჯურღმულში ჰყავს დამწყვედი (მახაზ ბებურაშვილი). სპექტაკლის მოქმედი გმირები არიან აგრეთვე ლეკებისაან მოტაცებული მამა-შვილი მამუკა კახნიაური (ვახე ოსაძე) და ზაზა კახნიაური (ავთანდილ შიქაძე). რომელიც ტყვეობიდან გაქვევებს შემდეგ რუსეთში მოხვდა, რუსული ენა ისწავლა. ხიტოვითა კონა „უბის საქართველო“ შეადგინა. მეფის მორთვა და თარგმნა დაუდა. ოპროპირა, ქედელი ბრძენი და სოფლის საქმითა მოთავი. რომლის როლს ჩვეული არტიტიზმით თამაშობს იაკობ ტრიპოლოვი, გოგენბერ ბუხუტი პინკარული (გივი ციციშვილი), ხოსიტა (ჯურამ ზურცილია), ქარლის მეფე სიმონი ოჯახითურთ, რუსეთისა და სპარსეთის ელჩები და სხვა. და რადგან სპექტაკლის ყველა პერსონაჟი ცალ-ცალკე დახასიათება და მათი როლის განმარტებელი მსახიობების თამაშის დაწვრილებით განხილვა ერთ რეცეზივაში შეუძლებელია, ამიტომ ჩვენ მხოლოდ მთავარი გმირების დახასიათებითა და მათი როლების შენს რულებელი მსახიობების თამაშის შეფასებით შემოვიფარგლებთ.

„უბედურება“ და „მოსაწყენი დღეების ქრონიკა“ იმ სპექტაკლთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა მიხედვით ნამდვილად შეიძლება მეტების ახალგაზრდული თეატრ-სტუდიის მხატვრულ სახეზე ლაპარაკი.

ბათუმელ მუშებთან შეხვედრაზე ერთ-ერთმა მუშამ ასეთი კითხვა დაუსვა ახალგაზრდა მსახიობებს: ვარდა იმისა, რომ თვენ თვითონ ახალგაზრდები ხართ, რით ხსნათდება თქვენი თეატრი, რითი განსხვავდება სხვა თეატრებისგანო. ბათუმელებს იმ დღეს მეტების მსახიობებისაგან სიტყვიერი პასუხი არ მიუღიათ, მაგრამ საქმით ნათქვამ პასუხს ხომ მეტი ფასი აქვს და სწორედ ამგვარ პასუხად წარმოვიდგებთ თეატრის ბოლო ორი ნამუშევარი — დ. კლდიაშვილის „უბედურება“ და ა. ჩხიკეიშვილის „მოსაწყენი დღეების ქრონიკა“. ამ სპექტაკლებში თეატრ-სტუდიის სათქმელიც გამოიყვეთა და მისთვის მახლობელი გამომხატვლობითი საშუალებანიც. სხარტი, ადვილად გასაშფირი, სახიერი ალუგორიების ენა თეატრში თავისადა აქცია და მკურნებელთან ურთიერთობის ყველაზე სწორ საშუალებად მიიჩნია. ამასთანავე, უნდა თქვას, რომ ორივე შემოადრწული სპექტაკლის ყოველი სცენა, ისევე, როგორც მთლიანად სპექტაკლის სახე, აშკარა რეჟისორული გადაწყვეტით ხსნათდება. რეისორი აქ მსახიობში არ კვდება, პირიქით. ჩვენ ვგრძნობთ მას ყოველ წამს როგორც გრძნობენ მას ამ თეატრის მსახიობები, ვგრძნობთ სასცენო სიერციის ორგანიზებაში, ვგრძნობთ მიზანსცენაში, სპექტაკლში ჩანს რეისორის მიერ მსახიობის გამოყენების პრიციპიც.

მეტების თეატრ-სტუდიის პირიქობის მეოთხე წელი დაიწყო და ამ, შესაძლო, ხანმოკლე

სპექტაკლის ყველაზე სუსტი ადგილია ფინალი. წარმოდგენა როგორცა უტყვად, მოწყვეტით მთავრდება და ისე არაბუნებრივად, რომ მკურნებელი ვერ ასწრებს შეეშალოს დასასრულებლად. ამის მიზეზი, ალბათ ისაა, რომ ისტორიული ქრონიკიდან ამოკლებილი ერთი პერიოდი კვანძის ორგანულად შეკრებისა და ბუნებრივად გახსნის საშუალებას არ იძლევა.



სცენა სპექტაკლიდან
„უბედურება“

ვალაში შემოქმედებითი ძიებების გარკვეული გზა განვლო. იყო წარმატებებიც და ჩავარდნებიც.

დღეს კი მოწმენი ვართ იმისა, თუ როგორ იკვეთება მეტეხის თეატრ-სტუდიის მხატვრული სახე. მის გზას შეიძლება დეთანხმო ან არა, მაგრამ ერთი კი აშკარაა, ამგვარ თეატრსაც, თუკი ის ხელოვნების დონეზეა, არსებობის უფლება გააჩნია. თეატრ-სტუდია, მთავარი რეჟისორის, სანდრო მრეველიშვილის ხელმძღვანელობით, ბოლო ნამუშევრების საშუალებით იბრძვის ამის დასამტკიცებლად.

დავით კლდიაშვილის „უბედურებას“ (რეჟ. ს. მრეველიშვილი) თეატრ-სტუდიამ რუსულ თარგმანში „კატასტროფა“ უწოდა და ამ ორი ცნების შორის არსებული სხვაობა, ალბათ, წუს. ტად გამოხატავს იმ ცვლილებას, რომელიც კლდიაშვილის თეატრალურმა ესთეტიკამ განიცადა პიესის მეტეხის სცენაზე ამეტყველებისას. თუ დ. კლდიაშვილი, კონკრეტული აღმანიების ბედიით დაინტერესებული, მათი უბედურების ჩვენების საშუალებით აღწევს განზოგადობას, ამ გზით სვამს წინაპირობებს პრობლემებს, მეტეხის სპექტაკლში უბედურებას უფრო გლობალური ხასიათი, კატასტროფის მასშტაბი ეძლევა, აღმანათა მორალური და ფიზიკური განადგურების, გონითი არსებობის მოსპობის შემზარავი სიტუაციის წინაშე მათი ერთგვარი უნიფიცი. რებაც ხდება და ნგრევის ცალკეული მსხვერპლი ნაკლებ ინტერესს იწვევს, მთელი კატასტროფის სურათთან შედარებით. რეჟისორი თითქოს რამდენიმე საფეხურს ერთად ახტება და სცენიდან პირდაპირ განზოგადობას გვაწვდის. სცენის ცენტრში დიდი გობი დგას (მხატვარი მ. ჰაჰევაძე), რომელშიც ოდნავ მზუტა.

ვი სანთელის მსგავსი იმედის მქონე აღმანიები განსაკურნავად წვებიან, მაგრამ სპექტაკლის ფინალში ეს გობიც ინგრევა მათივე ხელით, ილუპება იმედი, ისპობა გონითი არსებობის ყოველგვარი საშუალება და შემთხვევითი არ არის ისიც, რომ რაღაც მომენტში სიტუაცია გემის დაღუპვის სურათს გვაგონებს. ყველა და ყველაფერი იძირება, ფსიქრისაკენ მიდის. წუდება გაუბედავი სიტყვებიც — ჩემო კარგო ჰეჰეჰე, ნავ, რაზედ მოვიწყენიაო. ფინალში ნგრევის კულმინაციისას მსახიობები მეტყველ მიზანსცენაში იყენიბან და კატასტროფის ფაქტის ფიქსირებაც ხდება.

ახალგაზრდა დრამატურგის, ავთანდილ ჩხიკვიშვილის პიესა „მოსაწყენი დღეების ქრონიკა“ თეატრ-სტუდიისათვის მახლობელი და ჭერ კიდევ „უბედურებაში“ დასმული პრობლემების თანახმიერი აღმოჩნდა. რა თქმა უნდა, თეატრისა და დრამატურგის ამგვარი თანამოაზრეობა თავისთავად მოსალოდნელი წარმატების მნიშვნელოვანი საწინდარია და ამგვარადაც ასე მოხდა.

„მოსაწყენი დღეების ქრონიკა“ (რეჟ. ს. მრეველიშვილი) თეატრ-სტუდიისათვის, უდაოდ, წინ გადადგმული ნაბიჯია. როგორც მოგახსენეთ: პიესას „უბედურების“ თანახმიერი პრობლემატია მოაქვს. მსგავსება აქ ერთგვარად აბსურდულ დისპარმონიულ სიტუაციაშია, რომელსაც ორივე სპექტაკლი წარმოგვიდგენს, იმ განსხვავებით, რომ ჩხიკვიშვილის პერსონაჟები თანამედროვე ახალგაზრდები არიან და ამის გამო მათი გრძობათა ბუნებაც სხვაგვარია. თუმცა გონითი არსებობის რღვევასთან აქვს გვაქვს საქმე. გონების რღვევის, ემოციების დაჩაღუნების და საარსებო ორიენტირის დაკარგვის მიზეზი სპექტაკლის კვლევის საგანს არ წარმოად-

გენს. უბრალოდ ჩვენი საზოგადოების მცირე ნაწილის ამგვარი მდგომარეობა სპექტაკლის ავტორებს განვაშის საფუძველს აძლევს და თეატრის მიერ თვით ფაქტის კონსტატირება, მათი აზრით, მაყურებელს ამგვარი მოვლენების წინააღმდეგ საბრძოლველად უნდა განაწყოვინ. „ქრონიკის“ პერსონაჟები (მსახ. თ. დათუაშვილი, ლ. ალიშბარაშვილი, ი. ჭიჭინაძე, გ. ფიცხელაური, ზ. ცინცქილაძე, თ. კოშკაძე, პ. ნოზაძე და სხვები) ერთმანეთისგან თითქმის არაფრით არ განსხვავდებიან, ერთი მთლიანი მასის ნაწილებს წარმოადგენენ. საკუთარი შინაგანი ინერტულობის, სრული უმოქმედობის გამო თითქოს დახშულ სივრცეში არსებობენ და ამ სივრცისგან თავის დაღწევის ყოველი ცდა (ეს ქალაქგარეთ ექსკურსიაზე გასვლის სურვილში ვლინდება), როგორც წესი, უშედეგოა. პიესაში არის ასეთი პერსონაჟი — მათი ყოფილი მეგობარი მამუკა, რომელიც მთელი მოქმედების მანძილზე არც ერთხელ არ გამოჩნდება სცენაზე, მაგრამ რომლის შესახებაც გვესმის, რომ რაღაც კონკრეტული საქმით არის დაკავებული, ხევა მოქმედ პირთაგან განსხვავებით, აქტიურ ცხოვრებას ეწევა. მაგრამ ბოლოს მამუკა გაურკვეველი მიზეზით ილუპება და თან მიაქვს ჩვენი იმედიც ახალგაზრდათა ამ ჯგუფის არსებობაში შენაძლო ცვლილებების შესახებ.

სპექტაკლში თეატრ-სტუდიის დასის დიდი ნაწილია დაკავებული, მსახიობები პერსონაჟების


ასაკისანი არიან, ალბათ, მათ მსგავს ადამიანებთანაც უხდებათ დროდადრო ურთიერთობა. შესაძლოა, ამიტომაც მოქმედებენ სცენაზე მხოლოდ თავისუფლად და ბუნებრივად, შენაძლოა, ამიტომ იღებენ ასეთ მწვევე ხასიათს სპექტაკლში დასმული პრობლემები.

როგორც ვხედავთ, მეტების თეატრ-სტუდიას აშკარად გამოკვეთილი პოზიცია გააჩნია და არასასურველ მოვლენათა დაძლევის პირობად, პირველ რიგში, ამ მოვლენათა გაცნობიერებას მიიჩნევს. ეს პოზიცია ბოლო ორ სპექტაკლში იკეთება და თეატრ-სტუდიის მიერ მაყურებელთან უშუალოდ განზოგადოებების ერთ-ერთი დაპარაკი ამ მიზანს ემსახურება.

მეტების ახალგაზრდალ თეატრ-სტუდიას შემოქმედებითი და ორგანიზაციული ხასიათის ფართო გეგმები გააჩნია, და, იმედიც, სტუდიის ხელმძღვანელობის ერთუზიანად ამ გეგმების განხორციელებას მოიტანს.

სცენა სპექტაკლიდან
„ნოსაწყენი დღეების
ქრონიკა“





აგაბო გოგვირაძე ციმბირში

სინხლუში ჭერ ერთი მოზრდილი, თეთრი ფარი გამოჩნდა სცენის პირზე, მერე მეორე, ერთიც და მეორეც სამიძირის დებეშებია, რომლებიც ღურშიშხან და დიტო ბოგვერაძეებს აუწყებს მამის — აგაბო ბოგვერაძის გარდაცვალებას.

დებეშებს ხელს აწერს ოტია იოსელიანი.

რეჟისორმა ლერი პაქსაშვილმა ამ დეტალით კომედია ტრაგედისაყენ შეაბრუნა, მუსიკაც ამ განწყობას აწყვება და ბოლოს იხსნება ფრჩხილები...

ახეთი ჩანაფიქრი თვით ავტორსაც ძალზე მოეწონა:

— სწორია, აგაბო ხომ მე ვარ, ვინდა მას გაუგავნია დებეშა და ვინდა მეო.

ახე იწყება ოტია იოსელიანის პიესის „სანამ ურემი გადაბრუნდება“ კიდევ ერთი (70-ე) დღეში (თარგმანი ა. ებანოიძისა), რომლის პრემიერაც სახალწლოდ შედგა ალტაის მხარეში, ბარნაულის სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე.

სექტაკლის დასადგმელად ბარნაულში მიიწვიეს ქართველი რეჟისორი საქართველოს ხსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ლ. პაქსაშვილი. სექტაკლი მომზადდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი საბჭოთა დრამატურგიის ფესტივალისათვის. დადგმაზე მუშაობდნენ აგრეთვე მხატვარი ნუგზარ ჯაფარიძე და კომპოზიტორი რამიზ კემულაძე.

ოტია იოსელიანის პიესის აზრი და სატირებრი ახლოებული აღმოჩნდა ალტაიელთათვისაც და ამიტომაც შეაჩერეს არჩევანი ნაწარმოებზე, რომელშიც გადმოცემულია მოხუცი, გაპრყვი მისწამებული ადამიანის განცდები ახალგაზრდობის, მათ შორის მისი ვაჟების სოფლიდან ქალაქისაკენ სწრაფვის გამო. სოფელს აკლდება მზარუნველი მუშახელი, აკლდება ქირისუფალი და ამ საქმეს დროზე უნდა შეეღა, მანამ სანამ ურემი გადაბრუნდება!

სწორედ ამ საყოველთაო სატივარზე გაამახვილა ყურადღება ლ. პაქსაშვილმა და თუმცა პიესას თავიდანვე კომედია დარტყვა, რეჟისორმა საყრდენი, ამოსავალი წერტილი აგაბოს სასიათში, აგაბოსა და ექსარაის კონფლიქტში პპოვა, პიესის დასასრულს აგაბოს სიმწრით ნათქვამი სიტყვებით განსაზღვრა სექტაკლის არა კომიკური, არამედ დრამატული ხასიათი, რაც უფრო ახლებურად წარმოგვიდგენს აგაბოსა და ექსარაის. აგაბოსა და მისი ვაჟების ურთიერთობას და უფრო გამართლებულიცაა.

ქართულმა გარემომ, ქართულმა მუსიკამ ხელი შეუწყო ზომიერ კლორითულობას, რაშიც გამოჩნდა ბარნაულის დრამატული თეატრის დასის პროფესიული კეთილზინდისიერება და სანაქებო აქტიორული ხელოვნება.

დიდი სიყვარულით, ცნობისწადილით შეხვდა თავის პირველ ქართველ გმირს, პირველ ქართულ როლს ნ. ლენინოვი. მსახიობმა შეიგრძნო მიწის ყვილით გამოწვეული ტკივილი თავისი გმირისა.

მსახიობი დიდი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით მოეკიდა აგაბოს როლს. ციმბირელი აგაბო მწვავედ განიცდის სოფლის ბედს, სწორედ აგაბოს სულიერი ტკივილები, შვილების სოფლის ბედით დანიტერტების ცდა აღელვებს მსახიობს და არა კომიკური ეპიზოდები. მის აგაბოს არ ეცინება და არ ემღერება (თუმიცა, ხუმრობის ყუარციც იცის). მსახიობი მთელი არსებით იზიარებს რეჟისორის მიერ ფინალში ხაზგასმული ფრაზის მღელვარებას, როდესაც შვილების წასვლის შემდეგ ცოლთან მარტოდმარტო დარჩენილი აგაბო ამბობს: „არა, ჩემო ექსარია, ახე, ამნარად არაფრით არ შეიძლება ცხოვრებამ“. მსახიობი გარეგნულადაც მიწში დვეულ პორტრეტს ქმნის. იგი შესანიშნავად გრძნობს თავს ქართულ ქულში. ქართველი გლეხის სამოსელში, კარმიდამოში, გრძნობს ავტორის ხეული მხატვრული სიტყვის ძალასა და სურსენელს.

რეჟისორმა ლ. პაქსაშვილმა იმდენად შეხისხლობრცა, შეაყვარა ო. იოსელიანის გმირები მსახიობებს, რომ მაის თამაშში, საუბარში მოძრაობაში ქართული ნიუანსები იგრძნობა ხოლმე.



ხომ დაშინახავით ალუხილია დაშინაინის ქალო კესარია, მუდამ კრიჭაში რომ უღდას ავაბოს და ვაუების მხარეზე, მაგრამ დროდადრო ს. ივა. ნოვა-კესარია ნახევარტონებზე გადადის და სევდიანი კილო შეიგრძნობა. (სცენა მარანში — „აბაბო ვახსოვს, ჩვენ რომ ჭვარი დავიწერეთ“)

სპექტაკლში კარპეს სახასიათო როლი საინტერესოდ გაითამაშა ა. ფროლოვმა იოველის; დიტოს, დურმიშხანის დასამახსოვრებელი სახეები შექმნის ლ. ბეზინინმა. გ. ობუხოვმა, მ. დოლინენკომ. მათ ღირსეულად ამოუღდნენ მხარში თ. ბეშტანოვა (ეუფუნა), ნ. კრივანოვა (ლანდა), ს. ფედოტოვა (გაგოლა).

სპექტაკლში მაცურებელი ხედავს ქართული სოფლის სილამაზესა და თავისებურებას, ხედავს როგორ თენდება და ბინდდება, ჩვენში, როგორ მოუწყენია სოფელს, სადაც მოხუცები-ღა დარჩენილან.

სპექტაკლისათვის ხელახლა დაიწერა პიესის ყველაზე ახალგაზრდა მოქმედი პირების ცვაგოსა და ბუხუტის სცენა, მათი სასიყვარულო ამბავი, მათი თავგადასავალი უფრო გაიშალა და ორგანულად ჩაჯდა ნაწარმოებში. მარანთან კრაქიუთისული ცაგო (ნ. დოლინენკო), ციცინათელახა. ვით უნათებს ბუხუტის (ა. როგოვნიკოვი) და მათ გაბახუნებს ლირიზმთან ერთად მოკრძალებდა და უშუალოა ახლავს, ცაგო და ბუხუტი ავაბოსთვის იმედის შუქი, მაგრამ ეს იმედიც სათუო ხდება, როცა ისინიც ძმებთან ერთად მიაშურებენ ქალაქს. ავტორი მთლად უიმედოდ არ ტოვებს ავაბოს — დავბრუნდებით, პირდება მოხუც მამას ბუხუტი, მაგრამ ავაბოს რწმუნებას მუშლივით მორევა ეტვი და ეს განწყობილება ხალებს სპექტაკლში ცრემლმარჩვე ფინალს.

„სანამ ურემი გადაბრუნდება“ წარმატებით იდგმება უცხოეთისა თუ საბჭოთა კავშირის მრავალ თეატრში. ესტონეთში, ტარტუს დრამატული თეატრის სპექტაკლს სახელმწიფო პრემიაც მინიჭა. მოსკოვის ორ სცენაზე — ხამხატრო თეატრსა და გოგოლის სახელობის თეატრშიც წარმატება ხვდა პიესას, ოტია იოსხელიანის გამორემა შორი ცემბერიც მთაბრჭვალის ქართული თრმით.

დიდი ტკივილი

გულამღვრეულ, შეძრწუნებულ ავაბოს სცენიდან გაჟახვს თვალცრემლიანი კესარია. ისინი უხმოლ ჩაუვლიან მბუხუტავ კერას, დღეს ხატკივარი უშფოთებთ სულს და გონებას. ეს ხატკივარი კარგა ხანია ავაბოს კარმიდამოს ვახედენია, რახანია საერთო ტკივილად ჰქცეულა, რახანია სოფლის დაცარიელების პრობლემა საერთო ზრუნვის, ფიქრის საგნად იქცა.

ამ პრობლემაზე გააზნავილა ყურადღება ცნობილმა ქართველმა მწერალმა ოტია იოსელიანმა, მისმა მალაშხატვრულმა ნაწარმოებმა „სანამ ურემი გადაბრუნდება“ მარტო ქართველი მკითხველი და მაცურებელი როლი მოხიბლა და ჩააფიქრა.

გ. გუნიას სახელობის ფოთის სახელმწიფო თეატრის კოლექტივი მნიშვნელოვანი ამოცანის წინაშე იდგა, როცა ზემოაღნიშნული ნაწარმოების სცენურ განხორციელებას მოაკიდა ხელი. ახლა, როცა ფოთის თეატრში სპექტაკლის დადგმიდან ორიოდე თვე გავიდა, ვაჭრა პრემიერის დღეებისათვის დამახასიათებელი მდებარეება და შეზოქილობა, როცა მსახიობები უკეთ „მოერგნენ“ როლს და კიდევ უფრო გაიშრთა ზოგირითი მინანცენა, თამაშად შეიძლება ვთქვათ, რომ თეატრის მთავარმა რეჟისორმა ს. ყიფშიაძემ და სპექტაკლის მონაწილე მსახიობებმა ნაწარმოებში დასმული პრობლემები სახურველ განზოგადებამდე აიყვანეს.

ს. ყიფშიის სპექტაკლი სახასიათებია ტრადიციული სცენური ზერხებით, სევდიანი ლირიზმით. მაცურებელმა კარგად იგრძნო ის ტიფოლი, რომელიც მამა-პაპების კერის მოსილანს მოხბლიური ოჯახის შიტოვებას და სოფლიან ქალაქისკენ თავაწყვეტილ ლტოლვას მოსდევს.

სპექტაკლის წარმატება უთუოდ დიდად იყო დაშოკიდებულნი მინაგოსა და კესარიათ სახეების წყორად ვაზრებაზე, მათ სრულყოფილ შეხრულებზე. რესპუბლიკის დამახასურებელი აბ-



სცენა სპექტაკლიდან „სანამ ურემი
გაღებრუნდება“

ტისტები გვიცა ებრალიძე და ლუბა უგულავა სპექტაკლის მთავარი როლების სცენურ ხორც-შესხმას დიდი პასუხისმგებლობით, შესასურარი სიბეჯითით მოციდნენ.

გამოყვებითი სახეა ე. ებრალიძის მინაგო. მსახიობმა მთელი თავისი ნიჭი და შესაძლებლობა ჩააქსოვა ტაიური ქართველი გლეხის ხასიათის შექმნას, რომლის მთელი ტრაგიზმი მშობლიური კერის გაპარტახების საშიშროებაში მდგომარეობს. რა საშუალებებს არ მიმარ. თავს ამ საშინელი საფრთხის თავიდან აცილებიასათვის მინაგო-ებრალიძე, იგი ხან გლეხურ ეშმაკობას იწვევითებს, ხანაც მკაცრია და მბრძანებელი, ზოგჯერ შესაბრალობად მთხოვნილი; მაგრამ უმოწყალო ფაქტს წინაშე მდგომი ბოლოს მიანიც უმწყეო და გულდათუთქულია.

გ. ებრალიძეს კარგ პარტნიორობას უწყევს ლ. უგულავა, რომელმაც სათანადო შტრიხებით მკაფიო გარდასახვით შექმნა კესარიას სახე. მას თავისებურად ესმის შვილების ბედნიერება, მიხი საქციელი ხშირად მწვავედ უპირისპირდება მინაგოს მოქმედებას, მაგრამ კერძის მოსლის პირობებში მინაგოსთან ერთად განიცდის.

სოფლიდან წასული, მშობლიურ ნადაგს მოწყვეტილი და ქალაქური ცხოვრების ყოველდღიურ ორმოტრიალში ჩაბმული შვილების სახეით წარმოგვიდგინეს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ხ. ყურაშვილმა (დიტო) და მსახიობმა რ. კინელაქემ (დურმიზანი). ბუხუტის გაორებული ბუნების გადმოცემას კარგად გაართვა თავი გ. ხიანია.

ორგინალური სახეები შექმნეს მ. სვანიძემ (ლანდა), ლ. მურადელმა (ეუფუნა), ლ. დარხაველიძემ (გოგოლა), „ქალაქელი რძლები“ უშუალონი და დამაქერებლები არიან. იოველის

დასამახოვრებელი სახე შექმნა მსახიობმა ი. მირცხულავამ, ასევე კარგად მიიღო მყურებელმა ბ. ქუთათელაძის კარბე და ე. პილილაშვილის ცაგო.

მოქმედებათა შესატყვისი მელოდებით ამეტყველა სპექტაკლი კ. სვანიძემ, ახლგაზრდა მუსიკოსი სპექტაკლების გაფორმებას დიდი პასუხისმგებლობით ეცილება, რაც მთავარია; სათანადო გემოვნებასაც ამუღავნებს.

ცალკე უნდა ითქვას სპექტაკლის მხატვრულ გაფორმებაზე. უთუოდ ნიჭიერი მხატვარია ზ. ცხადაია, მის მიერ გაფორმებული სპექტაკლები გამოირჩევიან ძუნწი, ლაკონური საშუალებებით, რაც საბოლოო ჩაშში სპექტაკლის დრამატიზმს ამძაფრებს, მაგრამ სპექტაკლის „სანამ ურემი გადაბრუნდება“ გაფორმებისას მხატვარი თითქოს დაღატობს საკუთარ თავს. ურთიერთსაპირისპიროს — პირობითობის და ნატურალიზმის ელემენტების წარბა თავმოყრამ საბოლოო ჩაშში სცენა გადატვირთა და ზედმეტად ნატურალიზტურად წარმოგვიდგინა სამოქმედო არე.

ცხადაია, სპექტაკლი არ არის დაწვეული ზოგიერთი სხვა ნაკლოვანებებისაგან. შეიძლება გაქიანურებულად მივიჩნიოთ აგაბოს და კესარიას დიალოგი შვილების მისვლამდე და ფინალშიც, შვილების წასვლის შემდეგ. ზოგჯერ მსახიობები ცდილობენ ილაპარაკონ იმერული კუთხური აქცენტით, შემდეგ ისე ლიტერატურულ ქართულს უბრუნდებიან და ა. შ.

ზემოთაღნიშნული შენიშვნები სპექტაკლის დირსებას არ ამცირებენ და შეიძლება ითქვას, რომ ფოთის თეატრმა ამ პიესის სცენური განხორციელებით შემოქმედებითი წარბატება მოიპოვა.



ემოციური, ალგორდული საკუთარი

მუთახის თაქინების თეატრს არსებობის 30 წელი შეუსრულდა. ამ ხნის მანძილზე, სენზორიდან სენზორამდე, იხვეწებოდა და მალდებოდა მსახიობთა პროფესიული ოსტატობა. თეატრის რეპერტუარი ეროვნულ საბავშვო დრამატურგიასთან ერთად მდიდრდებოდა და ივსებოდა მომხმ რესპუბლიკებისა და მსოფლიოს გამოჩენილ მწერალთა ცნობილი საბავშვო ნაწარმოებებით.

ნაყურებელთა სხვადასხვა თაობების მეტნიერებაში დღესაც არ წაშლილა თეატრის საუკეთესო დადგმების მთავარი გმირების: დაობლებული შვილის ნუკრის, საბრალე ბიჭი გიქორის, ბაჭაბაჟს, კეთილი დათუნის, დეკების დამარცხებელი ნაცარქექიას, ბრყვი ხელმწიფ-ლომის, ყოყლოჩინა მამლაყინწას, მოხერხებული მელაკულას, ნაცარა კურდღლისა და სხვათა დაუფიქარი სახეები.

ახლახან ქუთაისის თაქინების სახელმწიფო თეატრმა მორიგ პრემიერად წარმოადგინა ქუთაისში მომუშავე ნიქიერი მწერლის დავით ხურთის კომედია „კოტრიალა“, რომელიც ნორჩმა მსაყურებელმა ნახვისთანავე შეიყვარა. რაშია საიდუმლოება, სად უნდა ვეძიოთ მისი გასაღები, რომლითაც ავტორმა პატარებთან ერთად დიდების გულიც ასე მოინადირა?

დ. ხურთიქ ორ ათეულ წელზე მეტია ნაყოფიერად მუშაობს საბავშვო ლიტერატურის დარგში. იგი კარგად იცნობს ბავშვების მდიდარ, საინტერესო ცხოვრებას. მას არა ერთხელ გაუხარებია თავისი მაღლიანი სტრიქონე-

ბითა და პიესებით პატარა მკითხველი და მსაყურებელი.

„კოტრიალა“ ავტორის რიგით მერვე პიესას, რომელიც ასეთი აღიარებისა და წარმატების ღირსი გახდა. იგი აღზრდის საჭირობის საკითხს ეხება, პიესა დაწერილია ლალი, მშვენიერი საბავშვო ლექსით. ავტორმა შეგნებულად აუარა გვერდი ბავშვებისთვის მოსაზრებელ რჩევა-დარიგებებს. არ დაამიძმა იგი დიდაქტივით. პიესის იდეისა და დედაწარის გასახსენლად ოსტატურად გამოიყენა ზღაპრის ფონი და აღეგორია, რაც ყუველთვის ასე იზიდავს და ატყვევებს ნორჩ მსაყურებელს.

თბილისის თაქინების სახელმწიფო თეატრის ახალგაზრდა ნიქიერმა რეჟისორმა ანზორ ჩხიკვაძემ, რომელმაც ორი წლის მუშაობის მსოფლიოში სახელგანთქმულ თაქინების დიდოსტატ ს. მობრაცოვთან მდიდარი გამოცდილებანი დააგროვა, ჩინებულად აღიქვა ავტორის შთანაფიქრი და დახვეწილი რეჟისორული გეგმონებითა და ახლებური ხერხებით, ეროვნულ სტილში, მარტივად გადაწყვიტა სექტაკლის განხორციელების ამოცანა. მან შეერთა და შეამჭიდროვა რამდენიმე სურათი, უფრო დინამიური და მოქმედი გახადა სცენა, გამოიყენა მხოლოდ რამდენიმე მსუბუქი დეკორაცია და შტრიხი. საფუძვლიანად იმუშავა მსახიობებთან მეტყველების კულტურის ამაღლებზე, რომ არც ერთი სიტყვა არ დაკარგულყო, ცდილობდა მსახიობის მიერ წარმოთქმული ყუველი ფრაზა მსაყურებელამდე სრულად მიეტანა.

ერთობლივმა შემოქმედებითმა შრომამ, მდიდარმა ფანტაზიამ განაპირობა ბავშვებისათვის ადვილად აღსაქმელი, ეს ემოციური და მშვენიერი, მუსიკალური სექტაკლის დაბადება.

ღარბაზში სინათლე, ქრება. თვალს ხიბლავს ათასი ღამაზი ფერისა და შუქის შეხამება. მსაყურებლის წინაშე იქმნება სიცოცხლით სავსე ტყის შთაბეჭდილება. დილა... ყველას გაღვიძება, დედისერთა, ცოტა გაყოყნიებულად, თავნება, მაგრამ კეთილი, ცოტა ძილისა და კოტრიალის მოყვარული, ოღნავ დიბიანი საოცრად ცნობისმოყუარე კოტრიალის დედა ბუზუნით ავითქმის.. რამდენიმე შტრიხით, თვალსა და ხელს შუა იქმნება საყვარელი ბელის ხასიათი. იგი დედის დარიგებით თავმომხერხებული სახლიდან იპარება, აღარ უნდა „დათვობა“, სურს გაიცნოს ტყე, მის თანატოლთა ცხოვრება და ფრინველები, გზაში ათას გაქირვებასა და ფათერაკს გადაყურება, მაგრამ ეცნობა და იძენს ნამდვილ მეგობრებს, რომლებიც განსაცდელში არ სტოვებენ მას.

კოტრიალა თავის ადგილს ეძებს ცხოვრებაში, ხან კურდღლობას მოინდობებს, ხან ციყულობას, ხან კიდევ ზღარბობასა და ქიანჭველობას.



ამ უკანასკნელს ასე მიმართავს:

ეს რა ვნახე,

მართლა ბრწყინი, მართლა ჭიანჭველა,

თუ კი ცოცხლობ,

შედა აჩნდე მიწას უქვეშელად!...

მაგრამ, როცა ეს პაწაწისა მწერი, საკუთარ წონასზე ოთხჯერ მეტ ტვირთს წამოიკიდებს, თვითონაც გაოცდება, უზარმაზარ მორის აწევას დააბრებს, მაგრამ ვეღარ წიღავს და ფეხს დაიშვავებს. ბოლოს კოტრიალა მწარე გამოცდილებით, შუბლზე კოპებითა და ათასი დავიდარბით ხვდება, რომ თურმე ყველას ყველგან თავისი სრობა აქვს და არ შეიძლება სხვამ სხვისი ადგილი დაიჭიროს...

როგორც ცნობილია, თოჯინების თეატრის მსახიობებს ორმაგი ჯავა ადგათ. ისინი მკვლევარული არიან მაყურებლებთან პირისპირ შეხედრის ბედნიერებას, შემოქმედებით კონტაქტს. შემოქმედებისადმი დიდი სიყვარულითა და ერთგულებით აიხსნება მათი დეჟანტაჟი გაორკეცებული შრომაც, რომელსაც მაყურებელი ვერ ხედავს. ისინი უხემ, უმოძრაო თაჯინას საკუთარ სულს უდგამენ, ასიქებენ პლასტიკურობას, სიცოცხლეს და სინათლეს.

კოტრიალას როლი მთამბეჭდვად, უსაკლოდ განასახიერა ახალგაზრდა მსახიობმა ანდრო ფანცხვამ, გამძლივრა იგი ხასიათის ინდივიდუალური თვისებებითა და ნიშნებით, დამახასიათებელი სიარულითაც კი. მსახიობი ჩინებულად ფლობს თოჯინის ტარების რთულ ტექნიკას, სწორად ხსნის მთავარი მოქმედი გმირის ინდივიდუალურ იერსახეს.

დასამალი არაა, მოსალოდნელი იყო ერთგვარი საშინაობაც. ქუთაისის საბავშვო თეატრში დათუნაის სახე წლების მანძილზე შექმნილი მქობდა რეპსუბლიკის დამსახურებულ არტისტს, პატარების საყვარელ აქტიორს, აწ განხვებულ რაფიელ თოდუას. საჭირო იყო მისგან შემოქმედებითად გამიჯვნა, ძიება, ახალი სახის შექმნა, რაც ასე ოსტატურად შესძლო და გააკეთა ა. ფანცხვამ.

კოტრიალას ყოველი უნტი, მოძრაობა, გაცემით თვლების ფახული, მისი ყოველი გამოჩენაც კი მაყურებელთა უსაზღვრო მოწონებას, მზურავლე სიცოცხლს იწვევს.

ცალკე განხილვის ღირსია წარმოდგენაში მონაწილე სხვა დანარჩენი მსახიობების გამოწონილი და ბავშვების მოსაწონი თამაში; ესენია შოთა ფხაკაძე — ზღარბი, ეთერ თოდუა — ციყვი, ნინო რეხვიაშვილი — დედა დათვი, ნოდარ კემულარია — ტყის მცველი, მარინე ჭინჭელაშვილი, — ჭიანჭველა, ლალი ფაჩულია — ნაცარა, ლევან გიორხელიძე — კაკაკაძე.


წარმოდგენას კიდევ უფრო საინტერესოსა და მიმზიდველს ხდის მალხაზ ციციშვილის

მხატვრობა, ცოცხალი, ლამაზი პორტრეტები, მართი და ორიგინალური დეკორაციები, რომელთა შეცვლა სწრაფად, იოლად, მაყურებლის თვალწინ ხდება, რაც გარკვეულ მიზანს ემსახურება — თეატრის ნორჩ მოყვარულებს გააცნოს სცენის ტექნიკური მხარე.

სპექტაკლს ერწყმის და ესადაგება თენგიზ ხტიაშვილის ადვილად დასამახსოვრებელი მუსიკალური გაფორმება, რომელიც მდიდარია, ქართული საბავშვო მუსიკის ეროვნული კოლორიტითა და თვითმყოფადობით.

განსაკუთრებულ ქებასა და მოწონებას იმსახურებს მეტყველი და საოცრად პლასტიკური თოჯინები, რომლებიც მეტად მდიდარი ფანტაზიისა და გემოვნების მქონე ოსტატს, თავის საქმეზე ფანატიკურად შეუვარებულ მხატვარ-მექანიზატორს მიხილ ჩიქვილაძეს ეკუთვნის. მასთან ერთად, თოჯინების მკერავი თამარ ბჟალავა და მარიამ გალდავაძე უნდა დავასახელოთ, რომელთა ხორცშესხმულმა წარმტაცმა, გროტესკულმა თოჯინებმა ხელი შეუწვეს სპექტაკლის გამარჯვებას.

„კოტრიალა“ სკოლამდელი და უმცროსი ასაკის ბავშვების საყვარელი, მეტად თოჯინური და გამარჯვებული სპექტაკლია, ასეთი პიესებით არც ისე განვითარებული ვართ დღეს საბავშვო თეატრებში. იგი, ალბათ, დიდხანს არ ჩამოვა სცენიდან, რასაც მაყურებელთა ერთსულოვანი მოწონება და მხურვალე ტაში ადასტურებს.



ასტრახანის მოზარდთა თავსარი

(თბილისში გასტროლოგის გამოცემა)

მნიშვნელოვანი ფაქტი აღვივით, თეატრი თანადანვე წერუნავს მცირეკლასელები აღზარდოს ისე, რომ მათ შემდეგში არ გაუჭირდეთ ამ რეპერტუარის ათვისება, რომელიც მოზარდობის პერიოდში ასაკოვან მსაუბრეებთან ერთად უნდა აღიქვან. საამისოდ ასტრახანის თეატრი მცირეკლასელებს სპექტაკლებში გამოხატონ სცენებს უსახავს (ტლანქად რომ გამოვთქვათ, „გადამტყან“ მასალას არ აწვდის). ცდილობს ამშუშაოს პატარების გონება და განუვითაროს მათ ფანტაზია. რაც შეეხება მოზარდებისა და ასაკოვან მსაუბრეებთან რეპერტუარს, ესეც ჩინებულად აქვს შერჩეული და განხორციელებული ასტრახანის თეატრს, საინტერესო ბიოგრაფია აქვს მათ მიერ განხორციელებულ სპექტაკლს „გაზაფხულის დღე 30 აპრილი“ (პიესა ა. ზაკოსა და ი. კუზნეცოვის; დადგმა იური კონიეტკოვის), იშვიათად არსებობს სპექტაკლი, რომელსაც ამდენი ჭილღო მიეღოს. მიღებული აქვს საკავშირო კულტურის სამინისტროს დამოღობი, იმავე სამინისტროს ბრძანებით აღიარებულია ბავშვთა და მოზარდთა თეატრების გასული სეზონის საუკეთესო სპექტაკლად, მიღებული აქვს ასტრახანის კომპაზიორის ჭილღო; სპექტაკლი წარდგენილია საკავშირო ლენინური კომპაზიორის ჭილღოზე.

ასტრახანის მოზარდ მსაუბრეებთან თეატრი ემსახურება არა მარტო მცირეკლასელებს და მოზარდთ, არამედ ასაკოვან მსაუბრეებსაც. რა თქმა უნდა, ეს ფაქტი სხვადასხვაგვარ სიძნელებებს უსახავს თეატრს. მსაუბრეების ესოდენ ჭრელი კონტაგინტის დასაკმაყოფილებლად თეატრი ძალაუფლებურად ვერ შემოიფარგლება იმ რეპერტუარით, რომელიც განკუთვნილია მოზარდ მსაუბრეებთანთვის. გარდა ამისა, პიესაზე მუშაობის პრაქტიკაში რთვსურა იძულებული ხდება ნაგარიში გაუწიოს არა მარტო მოზარდს, არამედ დავაუკაცებულ მსაუბრეებსაც. ამასთან სპექტაკლი ისე უნდა წარმართოს, რომ პედაგოგიური ნორმები არ იქნეს დარღვეული. ეს კი გარკვეულ სირთულეს ქმნის.

მართლაც, „გაზაფხულის დღე 30 აპრილი“ საინტერესო სპექტაკლია. საინტერესოა სპექტაკლის სიუჟეტური ქარგა. არ არსებობს მსაუბრეები, რომელსაც არ აინტერესებდეს ფაშისტებთან იმის უკანასკნელი დღის ამბები, ყოველთვის ამას თან ერთვის მსახიობების ოსტატური თამაში და დაძაბული სცენები. საშუალო იყო, რომ სპექტაკლში ჩართულ კინო-კადრებს სცენური ნაწარმოების მთლიანობა არ დაეარღვია. ეს გითვალისწინა რეჟისორმა ი. კონატკოვმა და კინოკადრების ტემპო-რიტმი შეუთანხმა მსახიობთა ტემპო-რიტმს, რამაც მთლიანობა შეუნარჩუნა სცენური ნაწარმოებს.

ცხადია, პირველ წლებში თეატრს გაუჭირდებოდა ამ სირთულეთა გადალახვა, მაგრამ ამჟამად ის, 44 წლის სტაუთი (თეატრი 1933 წ. არსებობს), უკვე დავაუკაცებელი გვეწვია და ჩამოიტანა თავისი საუკეთესო რეპერტუარი. მცირეკლასელებისათვის ა. ხმელიცის „იყო თიმურელი ლაბტევი“, ზ. გერდისა და მ. ლგოვსკის „ორჭერი ვოვა“, ა. აკოვლევის „მზის დაკვრა“, ე. პერმიაკის „ვერცხლის პატარა ქაჩაჩი“.

თეატრს რეპერტუარში აქვს ვ. როზოვის „ხიხარულის ძიებაში“. პიესა განახორციელა რსფსრ სელოვების დამსახურებულმა მოღვაწემ მ. ვახოვსკიმ. პიესა დაწერილია ოჯახურ უთანხმოების თემაზე. დრამატურგი და რეჟისორი ხანს უსვამენ იმ გარემოებას თუ რაოდენ უნაითო და უზადარუკია ჰირვეული ცოლის ამყოფი ქმარი.

ჩვენს მიერ ჩამოთვლილი სპექტაკლები პედაგოგიურად ყველა გამართლებულია და დიდ მხატვრულ სიამოვნებას ანიჭებს მცირეკლასელებს, წინობრივად ამაღლებს მათ, უსტატაკებს სულსა და გონებას. გარდა ამისა, პატარებისათვის განკუთვნილ სპექტაკლებში ჩვენ ერთი

ამ სპექტაკლში, ისე როგორც თეატრის სხვა სპექტაკლებში, სავსებით დაცულია პედაგოგიური ნორმები. თეატრმა განახორციელა ე. როსტანის „სირანო დე ბერჟერაკი“. სპექტაკლი კარგად აქვს მოფიქრებული და განხორციელებული თეატრის მთავარ რეჟისორს ი. კონიეტკოვს. პრემიერა თბილისში შედგა. ჭეჩქერობით დროა საქირო, რომ სპექტაკლი საზოგადოებრივად დაინტერესოს და ჩამოყალიბდეს. გარდა ჩამოთვლილი

სპექტაკლებისა ასტრახანის თეატრის რეპერტუარში აქვს კ. ხოინსკის „ერთი დამის ამბავი“. ჩვენ საქირად მიგვანინა ამ სპექტაკლზე ცოტა ვრცელად შეფიქრდეთ.

სცენა გამომწვეულია, ფარდა უარყოფილი. სცენაზე ვსპერტო მხოლოდ და მხოლოდ აუცილებელ აქტსუარებს, რაც მხატვრის ლაკონიურობას მოწმობს (მხატვარი ე. კალენჩენკო). მოჭედა მიმდინარეობს ტურბაზში, უფრო სწორად, ტურბაზის ბუფეტში. ტურბაზის მობინადრენი ვახშამს ელოდებიან, ბუფეტის გამგე ქალი (მსახიობი ვ. სოკოლოვას შესრულებით საკმარისად ენერგიული, წინდახედული და პრინციპულია) ტექნიკური დაბრკოლების გამო ვახშამს ადრე ვერ პირდება დასვენებლებს.

ტურბაზაში მოულოდნელად ბანდიტობა შემოეჭრებოდა, ხალხს ერთ კუთხეში მიამწყვდევენ და დაიწყებენ თითოეული მათგანის გაძარცვას, მსახარად ავადებს. ბანდიტები მალე გაცდლებიან ტურბაზას, ხალხი თავისუფლად ამოისუნთქავს, მიუხედავად ამისა, მუსიკა მაღალი ხმით, შემპარწყუნებლად უღერს (სპექტაკლის მუსიკალური გაფორმება ე. პინდუსის).

შემოდის მშენებლობის ინსპექტორი. ის საოცრად ყოყლოინობს თავისი თანამდებობით, საერთოდ პრეტენციოზული და გაროზია (მსახიობი ა. ვსოვინი), ინსპექტორთან ერთად საკაციო შემოყავთ დაშავებული უცნობი, მას ახალგაზრდა ქალი ახლავს. ბრუნდებიან ბანდიტები, ისინი თავიანთ მსხვერპლს იცნობენ, მაგარბი სლუჟან. მანქანა აქვთ შესაკეთებელი. მძღოლს ეჭებენ. გამოეცხადება ინსპექტორის მძღოლი და გაყვება მათ მანქანის შესაკეთებლად, მაგრამ მალე უკან ბრუნდება და მანქანის შეკეთებაზე უარს ამბობს. როგორც ჩანს, მან იცნო ბანდიტები და შეგნებულად არ უნდა მათ დაეხმაროს. (მძღოლის როლს მსახიობი ს. დემილოვი ასრულებს, დიდი სიმართლით კმენის მშვიდი, მტკიცე ნებისყოფის მძღოლის მხატვრულ სახეს). ბანდიტები მძღოლს ნ წუთ დროს აძლევენ მოსაფიქრებლად, თუ ნ წუთში თავის მანქანას არ მოხსნის ნაწილებს და მათი მანქანის შეკეთებაზე უარს იტყვის, სიკვდილით ემუქრებიან. მძღოლმა იცის, რომ ავჯავები თავიანთ სიტუაცია სისრულეში მოიყვანენ. მიუხედავად ამისა მშვიდად ზის. ბანდიტების აღვირახსნილობას საზღვარი არ აქვს. ჭერბ ბაქია ინსპექტორზე დადგა, თუ სხვები ყველაფერს დინჯად იტანენ, ინსპექტორმა გამოამუღავნა შთელი თავისი მშობარა ბუნება (დრამატურგმა კ. ხოინსკიმ ინსპექტორის სახით დაწინაურდა ადამიანის სახე შექმნა, რომელსაც დიდი კომოზით ასრულებს მსახიობი ა. ვლოვანი). შემპარწყუნებლად უღერს მუსიკა, კვლავ აშხალებს მაყურებელს საზინელ ამბების მოსახსენად.

ზევიდან (ტურბაზიდან) გაქცევილი სახით, ჭავრით გაბრუნებული ჩამოდის ახალგაზრდა ქალი და შექანიკურად იმეორებს ტროს და მთავე სიტყვებს „ის არ პასუხობს!“ (ეს მსახიობი გ. ინოემეცვა არის. მის მიერ შესრულებული ეპიზოდი იმდენად გამომსახველია, რომ ჩვენ უოველგვარ სიტყვებისა და განმარტების გარეშე გვიცნობთ თუ რაოდენ ძვირფასია მისთვის და. შავებიდან სიკვდილის პირას მისული კაცი). როდესაც ქალი მთავე რეპლიკით ბანდიტებს მიმართავს, ისინი გადაწყვეტენ აბუნად აიგდონ ქალი: ქალს ხელს კრავენ და ბურთივით ერთმეორეს ესვრიან. ბანდის მეთაური ქალს შეუტეხს გაცდლოს იქაობა. ყვირილს ქალი გონს მოჰყავს და შეუდგება კბინებს ტურბაზაში და. საბრუნებლად, მაგრამ ბანდიტებს დაეხმარება „იდეა“ გაუპატიურონ ქალიშვილი. ერთ-ერთი მათგანი, მეტახებლად „მამხდარი“, გადაწყვეტს პირველად მან ჩაიღინოს ეს „გვირგვინი“. თავხედად ადის კბინებზე (მსახიობი ვ. კორასტილენი იმდენად ბუნებრივი და დამაქრებელია, რომ საოცრად აიღვებებს მაყურებელს), მაგრამ მას კარები გადაკეტილი ამხვდება. (ჩვენივის ნათელია, რომ კარები ბუფეტის გამგე ქალმა გადაკეტა. მან გადაწყვიტა ამით ხელი შეუშალის ბანდიტებს, როდესაც ტურბაზაში ადიოდა, მისი სახის ნაკეთები გაღმოსცემდა სახიფათო და მტკიცე გადაწყვეტილებას). ბანდიტმა კარი ვერ გააღო, მეთაურმა ბრძანება გასცა დაეხმაროს მას. კბინებზე ავიდა მეტახებლად ელმის (მსახიობი ვ. სკვორცოვი). სცენაზე კარის ნამსხვრევები ცვივა. მაყურებლისთვის გასაგებია, რომ კარი შემსხვრეულია. (ტელეგრაფიკის თვალსაზრისით თეატრისათვის ეს არის ყველაზე მეტად სახიფათო მომენტი. ვნახოთ როგორ დააღწევს თავს თეატრი ამ სივანს). სცენაზე საოცრად დაბაზული ატმოსფეროა. ხალხი ქმუნვარებს, მზას არავინ იღებს, მაგრამ მათი სახის გამომტყველება ყველაფერს ამბობს. ხანშიშესული კაცი (რხფსრ დამსახურებული არტისტი ე. ფროლიანი) ცდილობს დაიყოლოს ბანდიტების მეთაური, მაგრამ არაფერი გამოდის. ამ უმსგავსობებს ვერ იტანს სტუდენტი — მედიკი მარკი (მსახიობი უფრი პისკუნოვი). მან უყოყმანოდ გადაწყვიტა შეებრძოლოს ბანდიტებს, თუნდაც ეს მას სიცოცხლის ფასად დაუჯდეს. სცადა კიდევ, მაგრამ შემთხვევით შეეშალა ხელი, ეხლა ის გადაწყვეტს დაარწმუნოს ბანდიტების მეთაური, მეტახებლად ლოკაცი (მსახიობი კ. სელენოვი) მათი მოქმედების უმსგავსობაში. აქ ბნელითის სამყაროს შეხვდა სინდისისა და მაღალი ზნეობის სამყარო. (ამ დროს ბუფეტად შეუშინებლად გავიდა ლოთი, ბანდიტებმა არ ჩათვალეს სპირად გამოეღწენ. ბოდნენ მას, რადგან იმდენად მთვრალი ეგონათ,



რომ იქვე დაეცემა და დაიძინებო. მარცხი და ლოკაჩი ლაპარაკობენ მშვიდად, ხმადაბლა, ინტიმურად. ლოკაჩი განათლებული კაცი გამოდგა, ის ფილოსოფიურად ამართლებს თავის მდგომარეობას, რომ თავი დაცივას მარცხის ბრალდებებისაგან. (ორივე მსახიობი სადად და მაღალი ოსტატობით ძერწავენ თავიანთ მხატვრულ სახეებს).

ლოკაჩის მარცხის საუბარი იმდენად გულუბრყვილოდ ეჩვენება, რომ ლოკაჩე ხელს უცაცუნებს, ეფერება, თუმცა ხშირად აფრთხილებს. ამხანაგების რეპლიკაზე: „რას ზედგეს, ერთი გასილიაქი!“ ლოკაჩი უპასუხებს: „ის მე მართოს“. მაგრამ მერე სრულიად მოულოდნელად ამოიღებს დანას და შეცვლილი ჩასცემს მარცხს. (აღსანიშნავია, რომ კარების შემსხვრევის მომენტთან მარცხის მკვეთლობამდე რევისორს იმდენად დაძაბული აქვს სცენა, რომ მაყურებელს სულის მოსათქმელად არ ცალია, ის მთელ გრძნობით და გონებით გატაცებულია სპექტაკლის მიმდინარეობით. ყოველივე ეს ხდება იმ მიზნით, რომ კულისებში გატანილ საროთირო სცენას ააშოროს მოზარდის ყურადღება).

ამ დროს ზევდიან ვიღაც გადმოიძახებს, დაშვებული კაცი გარდაიცვალა, დამხვევებლები შეტარწუნდებიან. ერთ-ერთი მათგანი მოიხსნის პლედს და მიცვალეულს დაფარებს, თავად ხალხს სიტყვით მიმართავს (მიზანსცენირება ისეთია, რომ მისი სიტყვა მიმართულია არა მარტო სცენაზე მყოფი მსახიობებისადმი, არამედ დარბაზისაკენაც). ფაშისტთა კონცენტრაციულ ბანაკში მას თავად ბევრი სიმწარე გადაუტანია, მაგრამ სულიერი სიმტკიცე შეუნარჩუნებია. მარცხის სიკვდილში ის ბრალს დებს მთელ საზოგადოებას. რა თქმა უნდა, მას ბანდიტები იქვე გაუსწორებდნენ, მაგრამ მოულოდნელად კარების ზღურბლიდან მოისმა — „ხელები მაღლა!“

ლოთი არც ისე მთვრალი ყოფილა, როგორც ბანდიტებს ეგონათ, სწორედ მან (მსახიობი ე. პოტაპოვი) მიიტანა ამბავი სათანადო ადგილას. სპექტაკლი უნერგავს მაყურებელს მორალით: მოკლაქემბრობისა და ადამიანურ გრძნობებს.

ასტრახანის მოზარდ მაყურებელთა თეატრი სრულ ფორმასია. მას ჰყავს ნიჭიერი მსახიობები, ნიჭიერი და გონიერი რეჟისურა და, საერთოდ, ენერგიული კოლექტივი.

კოტე გარჯანიშვილის პანტომიმათა ლიბრეტოები

სინთეზური თეატრისა და მსახიობის პრობლემის გადაწყვეტას კ. მარჯანიშვილი პანტომიმის მეშვეობითაც აპირებდა. მას არ ასვენებდა აზრი პანტომიმის თეატრის შექმნისა. 1922 წლიდან ვარკში სწორედ ამ მიზნით ჩავიდა მოსკოვში და უმალ შემოიკრიბა ბალეტისა და დრამის თეატრთა მსახიობები, შეუდგა სათანადო რეპერტუარის მომზადებას, მაგრამ პანტომიმის თეატრის შექმნას განხორციელება არ ეწერა სათანადო შენობის გამოუქმნელობის გამო.

მარჯანიშვილმა პირველი პანტომიმა (მისი გამოთქმით — უსიტყვო დრამა) 1912 წელს დადგა მოსკოვში. ეს იყო ა. ვოუნენსკის „ცრეფლები“. მას მიეცა „პიერეტას საზურველი“, „თევზფულ თეატრში“ (1918), ვ. მეტცელის „მიშიდელი სინათლე“ რუსული დრამის თეატრში (თბილისი, 1922), „მზეთამზე“ (რუსთაველის სახელობის თეატრში, 1926) და „ხანდარი“ (ქუთაისი, 1930).

თამარ ვახვაშვილის ცნობით, კ. მარჯანიშვილს პანტომიმისადმი ინტერესი 1910 წელს ალექსანდრე კომპოზიტორმა ილია საცვა, რომელმაც დაწერა მუსიკა ა. ვოუნენსკის პიესისთვის „ცრეფლები“. რაც შეეხება საკუთარ თეატრულ შეხედულებებს პანტომიმზე, მარჯანიშვილს ისინი ჩამოუყალიბდა 1912 წლიდან.

ამ წელს უსიტყვო დრამის საკითხზეც მათან უსაუბრია გაზეთ „ოდესეი ნოვოსტის“ თანამშრომელს. აღნიშნული საუბარი „სახალხო გაზეთსაც“ დაუბეჭდავს 1912 წლის 2 მაისს,



სადაც ვკითხულობთ: „უსიტყვო დრამის“ აზრმა იმდენად დამაინტერესა, — უთქვამს მარჯანიშვილს, — რომ მინდა ამისათვის ახლად დავიწყო მოგზაურობა გასაფხულზე... ხშირად საჭირო ხდება დახატვა ისეთი გრძნობისა, რომლის სიტყვით გადაცემა შეუძლებელია. „უსიტყვო დრამის“ მიზანია სწორედ ამნაირი გრძნობის გადაცემა. ამასთანავე, ცხადია, რომ „უსიტყვო დრამის“ შეუძლიან ისეთივე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინოს მაყურებელზე, რანაირსაც გაფიქტებული დრამა ახდენს. სიწმინთი გადაცემა გრძნობებისა ერთი უძლიერესი საშუალებაა... უმთავრესი მნიშვნელობა, რასაკვირველია, მსახიობს ექნება. მუსიკა, დეკორაცია და სხვა — მხოლოდ საილუსტრაციოდ გამოგადგება“..

ერთი წლის შემდეგ, 1918 წლის გაზით „ტეატრი“ (№ 1886) ისევ საუბრის სახით ქვეყნდება მისი შეხედულებანი მიმოდრამაზე. აქ მარჯანიშვილი აღნიშნავს: „აღრე ჩვენ ვეძიებოდი პანტომიმას ისეთი გაგებით, როგორც ახლა ჩვეულებრივ ესმით იგი, ე. ი. ვეძიებოდი ისეთ სცენურ მოქმედებას, სადაც სიტყვას ცვლის უხეტო და სადაც ამიტომ უხეტო წარმოადგენს მხოლოდ სიტყვის შემცვლელს. ასეთ უხეტს შეიძლება ეწოდოს ილუსტრაციული. იგი არაა მსახიობის განცდის აუცილებელი დამხატულება, არამედ მხოლოდ ილუსტრაციაა იმ სიტყვის აზრისა, რომელიც ხმამაღლა არ გამოითქმის, მაგრამ მუდამ კი იგულისხმება. ასეთი პანტომიმა არსებითად მუნჯი აღმანიებაა საუბარს მკვას, და, ჩვენი აზრით, სცენაზე მისი არსებობის უფლება ერთობ სადავოა“.

პანტომიმის არსის განსაზღვრისას კოტე ევრდომოდა ინგლისელი კრიტიკოსისა და თეორეტოსის არტურ სიმონსონის შეხედულებას. რომელიც 1894 წელს წერდა: „შედგომა იქნება ვიფიქროთ, რომ პანტომიმა მხოლოდ საშუალებაა, უსიტყვო მოქმედებაა, რომ იგი მხოლოდ სიტყვის ეკვივალენტია. პანტომიმა არის მიყურადებითი გაგონილი აზროვნება“.

კ. მარჯანიშვილს სიმონსონის გამონათქვამი მიზანია ერთადერთი შესაძლო განმარტებად და, თავის მხრივ, დახსენს: ასეთ შემთხვევაში პანტომიმა ბუნებრივად და აუცილებლად გადაიქცევა ხოლმე მიმოდრამად. მარჯანიშვილის აზრით, მიმოდრამის სიმომის ცენტრი მსახიობის განცდაშია. უხეტო აქ სიტყვას კი არ ენაცვლება, არამედ დამოუკიდებელი და თავისთავადია. მსახიობის განცდები მიმოდრამაში უხეტით გამოიხატება.

„ამის შესაბამისად, — განაგრძობს მარჯანიშვილი, — პანტომიმასა და მიმოდრამაში სხვადასხვაგვარადა გამოყენებული თანმხლები მუსიკა, მანძინ როდესაც პანტომიმასა უხეტები

განაწილებულია მუსიკის მიხედვით, რიკაც გამოგონულად იგი ამ მხრივ ბალეტს ენათესავება. მიმოდრამაში მუსიკასა და უხეტს შორის უფრო დრამა — შინაგანი ურთიერთობა... მუსიკის როლი მიმოდრამაში, ჩვენი აზრით, განისაზღვრება მისი რიტმის შემოქმედებით განცდაზე. ასეთ ვითარებაში გარეგნული ნახატი აუცილებლად გახდება რიტმული და ფორმასა და შინაარსს შორის პარამონა გამეფდება“.

ეს მოსაზრებანი მარჯანიშვილმა გამოთქვა „პიერეტას საბურველის“ დადგმასთან დაკავშირებით. მას შემდეგ გავიდა 10-11 წელიწადი და როცა დიდი რუესიორი შეუდგა თავის „მზეთაშვე“ მუშაობას, კიდევ უფრო ნათლად ჩამოაყალიბა აზრი პანტომიმაზე.

საილუსტრაციოდ მოვიგონათ მისი საუბარი კომპოზიტორ თ. ვახვახიშვილთან 1928 წლის აგვისტოში:

„...შენა? შენ კი იცი, რა არის პანტომიმა? — შემეცითა.“

— სექტაკლი, რომელშიც სიტყვას უხეტის ცვლს.


— მხო, რაღაც ყრუ-მუნჯთა საუბრის მსგავსი, არა?

— რატომ ყრუ-მუნჯების... აი, იმაში... — დაამთავრე: ბალეტში, არა? არა, ქალბატონო, მარჯანიშვილი ბალეტმისტერი არ არის, მე ცეკვეთი მიყვარს, განსაკუთრებით ხალხური, მაგრამ მთელი ბალეტში — ამაზე უფრო უკლებილად მე არ მეგულება; ბალეტში აუცილებლად აზრი უნდა შევიდეს, უნდა გარდაიქმნას და, რაც მთავარია, მოისპოს შტამში. ეს ქორეოგრაფების საქმეა. მე და შენ კი შევქმნით უსიტყვო დრამას“.. (დაუფხვრა ჩემი — გ. ბ.).

ანალოგიური აზრი გამოთქვა დიდმა რუესიორმა „მზეთაშვის“ დადგმაზე მუშაობის დაწყებისას. ამრიგად, მარჯანიშვილი მეტრად გამოიწვეა ერთმანეთისგან ბალეტსა და პანტომიმას. მარჯანიშვილი პანტომიმაში გადააწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა მუსიკასა და რიტმს. „გაიგეთ, — ამბობდა იგი, — სახე არ გაცოცხლდება, თუ არ გადმოვიცი მუსიკით გამოყვანილი შინაგანი გრძნობა, თავის მხრივ კი, მუსიკა ევრი იარსებებს ანსტრაქტულად, თუ აღმანიში არ გამოიწვევა კონკრეტული სახე, თუ არ ჩასწვდა გულს“...

სწორედ ამ თეორიული პრინციპების გათვალისწინებითაა შექმნილი კ. მარჯანიშვილის ლირიკული პანტომიმისათვის „ნიჭი და ნიღბი“, „მზეთაშვი“ და „ხანძარი“.

„ნიში და ნიღბი“ სამოქმედობიანი ლირიკული „ნიჭი და ნიღბი“ დაცულია საქართველოს სსრ თეატრის, კინოსა და მუსიკის სახელმწიფო მუზეუმში (№ 11499). ნაწარმოების პერსონაჟებია: მუსიკალური ხაყრავების ოსტები;



მუსიკოსი ჭაბუკი (მისი შვილი); გრაფი; ქალი-
შვილი (გრაფის ასული); რანდი (მისი საქ-
მრო); ჭაბუკები და ქალიშვილები (გრაფის ასუ-
ლის შვილები). ლიბრეტოში ასევე „მონაწი-
ლეობენ“: მადონას ქანდაკება, ვიოლინოზე, ექვსი სხვადასხვა მუსიკალური საკრავი, ლიტაჯ-
რები.

ლიბრეტო დაწერილი უნდა იყოს 1922 წელს
მუსკოვში, როდესაც მარჩანიშვილი აპირებდა
პანტომიმის თეატრის დაარსებას.

შინაარსი: მუსიკალური საკრავების ოსტატმა,
გრაფის დაკეთით, შექმნა ვიოლინო, რომელიც
ვირტუოზულად აახშიანა მისმა ნიჭიერმა, მაგრამ
საოცრად მახინჯმა ვაჟიშვილმა. სიმახინჯის და-
საფარავად ჭაბუკი მუდამ ნიღაბს ატარებს.

მთელ ვიოლინოს წასაღებად მოკლენ გრაფი
და მისი თვალწარმტაცი ასული. ჭაბუკი მოი-
ხიბლა ქალწულის სილამაზით, გრაფი და მისი
ქალიშვილი კი — ჭაბუკის მუსიკალური ნიჭით.
ახალგაზრდებს ერთმანეთი შეუწყვირდებთ.

გრაფის სასახლეში წვიმიან, გრაფის ასულმა
რანდისე უნდა დაიწეროს ჭვარი, მაგრამ იგი
უარს იტყვის საქმროზე და განაცხადებს, ჩემმა
გული ჭაბუკ მუსიკოსს ეკუთვნისო. შეურაცხ-
ყოფილი რანდი ნიღაბს ჩამოგლეჯს ჭაბუკს და
ყველა დაინახავს მუსიკოსის სიმხიბრეცს. ჭაბუ-
კი იატაკზე დაანარცხებს ვიოლინოს და გაქ-
ცევა.

ერთ-ერთ ტაძარში ჭაბუკი შესთხოვს მადონას
ქანდაკებს: სიმახინჯისაგან მიხსნენ და საფასუ-
რად ჩემს ხელოვნებას ვაგვიღებო. ამ დროს ტა-
ძარში ჭვარის დასაწერად შემოვლენ გრაფის
ასული და რანდი. ჭაბუკი ვერ უძლებს ამ სუ-
რათის დანახვას და უსულოდ იცემა იატაკზე.
იგივე ზედი ეწია გრაფის ასულსაც.

ლიბრეტოთი მარჩანიშვილმა დაგვიხატა ხე-
ლოვანის სულიერი ტრეგედია, კონფლიქტი
მშვენიერების ორ გამობურთლებში — გარეგ-
ნულსა და ნიჭიერებით განსაზიერებულში. მთა-
ვარი კი ის არის, რომ გრაფის განებივრებულ-
მა ასულმა იწამა ტეუმარიტი სიყვარულის ძალა-
და შეცდომის საზღაურად სიცოცხლე დათმო.

ლიბრეტოში მოქმედება სწარტად ეთარღება
და აღმაჯალი დაძაბულობით მიდის. პერსონა-
ჟები ლაკონურადაა დახასიათებული. საინტე-
რესოა, რომ ავტორმა პანტომიმში აამქიმედა
უსულყო საგნებიც (მუსიკალური საკრავები, მა-
დონას ქანდაკება). ეს ხერხი მარჩანიშვილმა
პრაქტიკულად გამოიყენა 1988 წელს ი. შტრაუ-
სის „ღამურას“ დადგმისას მოსკოვის ოპერე-
ტის თეატრში.

„ნიჭი და ნიღაბი“ არ უნდა იყოს სცენაზე
განხორციელებული.

„მზეთამაზე“. ქართულ თეატრში მარჩანი-
შვილმა ორი პანტომიმა დადგა და ორივე სა-

კუთარი ლიბრეტოთი. მისი „მზეთამაზე“ პირვე-
ლი ქართული პანტომიმის ლიბრეტოა. ხოლო
ამ ნაწარმოების მიხედვით დადგმულია ნაწი-
ტაქლი — პირველი პანტომიმური წარმოდგენა. მუ-
თაატრის, კინოსა და მუსიკის სახელმწიფო გუ-
რეთუში დატული „მზეთამაზის“ ლიბრეტო
(№ 11500) ოთხმოქმედებიანია.

I მოქმედება. მეფე მერთა შიშის ციხესი-
მაგრე. მეფის ასული მზეთამაზე თხოვდება უფ-
ლისწულ ჭვართა მცველზე. ციხესიმაგრის ცხრა
კოშკს იცავს ცხრა გოლიათი — ქართლი, კახო-
სი, ფშავი, ხევსურთი, სვანთა ნათელი, იმერი, გუ-
რული, მეგრული და ლაზი.

მაყრებს ჭვარის დასაწერად მიჰყავთ მზეთამაზე,
ღამეა. ცხრა გოლიათი დაარჯობს თავთავის
კოშკს. სახელისუფლებო ამოწმებს მათ სიფხი-
ლეს, მერე კი საუკუნოვან ჩინარზე ოქროს
ძეწკვით მიაბამს მოწინაურებულ ჭიქს და წვათ.
მთავარ კოშკს ჭვარი ამშვენებს. მღელ გოლიათ-
ების რული მოკიდათ. ჭიქმა ტანი შეღებტყა
და მისი ტყავიდან გამოძვრა მოხუცი ჭადოსა-
ნი, რომელსაც ვარსკვლავებით მოოქვილი ჩად-
რი ბურავს. ჭადოსანმა გოლიათები ქოტებად
აქცია და კოშკებზე დაასკუპა. ახლა ჭვარს დაე-
მუქრა. ჭვარი გაიზზარა, მოირღვა და მის ნაცვ-
ლად ნახევარმთავრე აკიჟდა.

შორიდან მოისმის ფლოკების თქარათქური,
მაყრების სიმღერა და სროლის ხმა. ჭადოსანი
ჩადრს მოიხსნის (ულამაზეს სპარსულ ქალად
იქცევა), მიწაზე დააფენს, ზედ შედგება და გაფ-
რინდება. ამასობაში ეკლესიიდან დაბრუნდებიან
გვირგვინოსანი სიძე-პატარძალი ჩადღება ქორ-
წილი. სამეფოს ცხრა კუთხის წარმომადგენელი
ცხრა ძვირფას სამაჭურს მიაართებს მზეთამაზეს
და მარცხენა მკვლავზე ჩამოაჭრამს.

ქორწილის მზიარულება ქუხილმა დაარღვია.
მექორწილებს გიჟური ხარხარით გადაუქროლა
ვარსკვლავჩადრისა ჭადოსანმა. ცხრა ქოტი კი-
ვილით აიკლებს იქაურობას. მეფემ შენიშნა გაბ-
ზარული ჭვარი და ნახევარმთავრე. შემოიღის
დაქორილი მწვემბი და მეფეს ამცნობს მტრის
შემოსევას. იწყება ბრძოლა. სპარსთა ლაშქარმა
დაარბია სასახლე, გაულიტა მისი დამცველები,
მხოლოდ ჭვართა მცველი ებრძვის გარშე-
მორტყმულ მტრს. მაგრამ მას ჭადოსანი გაი-
ტაცებს. გულმეგობრობი მზეთამაზე აივინს ბო-
ლოში წევს და სამაჭურებიანი მკლავი უღონოდ
გაღმოუკიდა. სპარსელები ძარცვავენ სასახ-
ლეს, მზეთამაზეს კი სამაჭურებიანი მკლავს მო-
კვეთენ და თან გაყოლებენ.

II მოქმედება. სპარსელებმა ცეცხლში გა-
ხვიეს სამეფო. ჭადოსანს შემოჰყავს გაყოფილი
ჭვართა მცველი და სიყვარულს სთხოვს. ჭაბუ-
კი უარს ეთ. გაკაასებულმა ჭადოსანმა ჭუქებს
მოუხმია, აწამებინა ჭაბუკი, მერე სენზე მიაბა და



გაუჩინარდა. ცხრა ჭოტი დაკორწის თოკებს და გაათავისუფლებს ტყვეს. ამ დროს გამოჩნდება სპარსელი უფლისწული ჭარითა და ქარანით, ჭვართა მცველი ხის ფულურში შეძვრება და დაიძალება. ამავე ხის ირგვლივ გამოიჭება სპარსელი უფლისწულის კარავს.

სპარსელი მზეთამზის სიყვარულს შეუპყრება და მხოლოდ მისი მოპოვება სურს, მაგრამ თვით ჭაღოსანიც ვერ ახერხებს ამას.

შეომარებს შემოაქვთ ნადავლი, რომელშიც მზეთამზის მკლავიც ურევია. სპარსელი უფლისწული იცნობს მკლავს და პარანებს მისი პატრონის სასწრაფოდ მოგვრის. ამ დროს ისმის ჭვართა მცველის ყვირილი, იგი ფულუროდან ამოხტება და დაეკონება საცოლის მკლავს. ჭაბუკს შეიპყრობენ და გაკვირად გაათრევენ.

III მოქმედება. მტერთა შიშის დანგრეული სსახლე. ცხრა დობილს მოპყავს ცალხელა მზეთამზე. ცხრა ჭოტი ნანგრევებდან აიტაცებს ხატს, მაღლა შემოდგამს და გაუჩინარდება. ხატს დამწვარია, გადარჩენილა მხოლოდ წმინდა ნინოს ხელი ვაზის ჭვრითურთ. საცურებით გაკვირებული ჭალები ხატთან დოცულობენ. უცებ ხატი დაიშალა, დარჩა მხოლოდ მკლავი და მზეთამზის გამოება. ამ დროს შემოდიან სპარსელები და მოითხოვენ, რომ მზეთამზე სპარსელ უფლისწულს ეახლოს. ისინი გაცდებიან, როცა ქალწულს უფენებს ნახვენ. მზეთამზე მოსახსამში დამალავს ხანჯალს და გასწევს შურის საძიებლად.

IV მოქმედება. უფლისწული აღტაცებით შექვდა მზეთამზე; ქალწულმა ხანჯალი იმიშვლა, მაგრამ ჭაღოსანმა შეუშალა ხელი. მზეთამზე შეიპყრეს და ხანჯალი წაართვეს. უფლისწული გაოცებულია, მაგრამ, რადგან მომხდარა საოცრება და მზეთამზის მის მოსაკლავად გამოშინა მკლავი, თანახმა თავი გასწიროს. იგი საკუთარ იატაკანს აწვდის მზეთამზეს და სთხოვს — დამკარიო, ქალმა აღმარა იარაღიანი ხელია, მაგრამ შეეცოდა ახალგაზრდა, ღამაში, მისი სიყვარულით რტდასხმული უფლისწული და იატაკანი გაუფარდა. უფლისწული სიხარულმა აიტაცა, მანსადაამე, მანაც ვყვარებივარო და გულში ჩაიხუტა ქალწული. მზეთამზე მინებდა.

უცებ მზეთამზეს გამოცხადდა ჭვართა მცველის ნაწამები სახე. ამ დროს ცხრა ჭოტი ფხერებს კარავს. შემოდის ქართველი სარდალი, მზეთამზე აეფარება სპარსელ უფლისწულს, მაგრამ სარდალი მას გვერდზე გასწევს და ხანჯლით განგმარავს უფლისწულს. მზეთამზე მოკლულით ვაგვირ დეიშობა.

ცხრა ჭოტი ჭაღოსანს მოათრევს, ხის ქვეშ მიაგდებს და კორტნის. როგორც კი შესვამენ მის სისხლს, მანსივე ეხსნებათ ჭადო და ისევ საბეფოს ცხრა კუთხის წარმომადგენელ გოლია.

თებად იქცევიან. შემდეგ გოლიათბი, შრისხე-ნედ მიდიან მზეთამზესთან წმინდა ნინოს ჭვრის გამოსართმევად, მაგრამ, ჭვართან ერთად, მკლავიც შორდება ქალწულის სხეულს. გოლიათბი ჭვარს აღმართავენ და სალაშქროდ გაემართებიან. მზეთამზე რჩება სპარსელი უფლისწულს ვაგმთან, იქვე გდია მისი მოკრიბი მკლავიც.

ახეთია „მზეთამზის“ მოკლე შინაარსი, რომელიც საგრძნობლად განსხვავდება თ. ვახვახიშვილის მონაყოლისაგან (ჭერ თვით ლექსედის, ხოლო შემდეგ ლიბრეტოს საბოლოო ვარიანტის სახით!). თვით თ. ვახვახიშვილის მტიციცებით, ლიბრეტო მრავალჯერ შეცვლილა და დაზუსტებულა. ე. ი. არსებობდა მისი რამდენიმე ვარიანტი. პირველი მთავანი დაწერა ზორჯომში 1928 წლის 12 აგვისტომდე. „მზეთამზე“ რუსთაველის სახელობის თეატრის რეპერტუარში შეუტანიათ იმავე წლის სექტემბერში და რეპეტიციებიც დაწყებულა. პირველია შედგა 1928 წლის 11 მარტს (თ. ვახვახიშვილის მონაყოლი ვარიანტით). აღსანიშნავია, რომ მარჯანი. შვილმა ლიბრეტო წინასწარ გააცნო ავტორიტეტულ კომისიას, ხოლო მანამდე ზორჯომში წაუკითხა ვანო სარაჯიშვილმა და ლადო სვიმონიშვილს.

„მზეთამზის“ მიმომხილველები ახლებდენ, რომ მარჯანიშვილმა იგი შექმნა ხალხური ლექსედის მიხედვით. სამწუხაროა, ასეთ ლეგენდას ვერ მივაკვლივ. საეჭვოდ მიმაჩნია, კოტე მთლიანად გაყოლიდა რომელიმე ლეგენდის სიუჟეტს. ლიბრეტოში მართლაც გვხვდება ნაცნობი ზღაპრული ელემენტები, მაგრამ, ჩემი აზრით, ისინი უმეტესად თვით ავტორის შექმნილია და დაცულია მხოლოდ ხალხური ზღაპრის ფორმა.

„მზეთამზე“ საინტერესოა იმიტაც, რომ ავტორმა ლიბრეტოში გაცოცხლა საქართველოს გმირული წარსული, მხატვრულად აგვიწერა ეროვნული ზნე-ჩვეულებანი, დაავსებდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებთა მეგობრობა.

„მზეთამზე“ იყო მარჯანიშვილის უკანასკნელი სპექტაკლი რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე. მის შექმნაში, მარჯანიშვილთან ერთად, მონაწილეობდნენ ალ. ახმეტელი, ვ. ვედერივიჩ-ჟღენტე (მარჯანიშვილის ასისტენტი), მხატვარი დ. გულდინიანი, კოსტიუმების მხატვარი დ. შევარდნაძე და სხვები.

თ. ვახვახიშვილის აზრით, „პანტომიმე, მშკოთამიშე“... დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული თეატრის სტილისა და შემოქმედებითი მეთოდის ფორმირების საქმეში. პანტომიმეზე ხანგრძლივმა მუშაობამ ახალგაზრდა შემსრულებლებს განუვითარა და განუშტოცა... რიტმის სიზუსტე, მუსუაქო და პლასტიკური

მომართობა, რომანტიკული განწყობილება, ზე-როიკული პათოსი“...

როგორც ირკვევა, მარჯანიშვილმა თავისივე კინოსცენარში „როსტეან და ქეთევანი“ გარკვეული ცვლილებით გამოიყენა „მზეთაშვის“ მტკივნეობა და მთელი რიგი ადგილები ლიბრეტოდან.

„ხანძარი“ კ. მარჯანიშვილის უცანასკნელი პანტომიმა, რომლის ლიბრეტოს 1929 წელს დაიწერა მწევანე კონცხზე და 1930 წელს დაიდგა ქუთაისის თეატრში. ლიბრეტოს ხელნაწერი არ არის მიყვლეული. თეატრის, კინოსა და მუსიკის სახელმწიფო მუზეუმში ინახება მხოლოდ მისი ანოტირებული შინაარსი (სტამბურთი წესით დაბეჭდილი ერთ გვერდზე), აღბათ პარაგრაფისთვის. (№ 8600).

„ხანძარი“ ძალზე ჭკავს „მზეთაშვის“, მუსიკა დაწერა ისევ თ. ვახვახიშვილმა, ქორეოგრაფიულად გააფორმა დ. მაკავარიანმა, ხოლო მხატვრულად — ელ. ახვლედიანმა.

თ. ვახვახიშვილი მოგვითხრობს: „... ჯერ რეპეტიციები არ დაგვიწყია. მტწილად პლაშუე ვართ. მაგრამ მარჯანიშვილი უსაქმოდ ვერ ძიძებს და დიდილიაობით, ბანაობის შემდეგ, ჩემთან ერთად მუშაობს ახალ პანტომიმაზე. ესეც „მზეთაშვა“, მაგრამ სხვა სიუჟეტისა. ამ. ჯერად მზეთაშვე სოფლის გოგოა, რომელიც სათავეში ჩაუდგება გლეხთა აჯანყებას სასტიკი შემამოღლის წინააღმდეგ. სიუჟეტე ბევრად ეხმარება ძველ პანტომიმას: ქორწილი, კნინას სისასტიკე, ნუგის გათოკვა, ამბოხება. ჩვენ ძველ მუსიკას ვყენებთ, მაგრამ, რა თქმა უნდა, ახალიც ბევრი იქნება“.

დ. მაკავარიანი წერს: «Константин Александрович дал указание избегать классические приемы балета и чтоб не было объяснений мимикой и жестикюляцией... Впервые элементы пения (гости на свадьбе без слов пели «Мравалжаниер» стоя с поднятыми рогами в руках) был введен в пантомиме-балете «Хандзари», что было отмечено пресой... В балет-пантомиму «Хандзари» были включены народные обычаи, обряды, были показаны грузинская свадьба во всей ее красе, танцы. Об этом почему-то совершенно забыто. А ведь это осуществлялось под руководством К. А. Марджанишвили, который хотел воссоздать на сцене традиции многовековой культуры танца грузинского народа».

თუკი „ხანძარი“ ჭკავდა „მზეთაშვის“ და მუსიკა ძიძრითადასი ძველი იყო, რაღამ გამოიწვია მისი ხელახალი მოშალედა და დადგმა?

მიზეზი და აუცილებლობა მრავალი იყო, რომელშიც უცანასკნელ როლს როდი თამაშობდა

რეპერტუარის ხილარბე. ამასთან, მარჯანიშვილს აინტერესებდა მწევანე სოციალური ხასიათის ნაწარმოების შექმნა და დადგმა, რომელიც თემატიკით მიესადაგებოდა თანამედროვეობის მოთხოვნებს. გარდა ამისა, მარჯანიშვილს უნდა დამატებულიყო, როგორც უნარის დაკვირება ქართულ სცენაზე და, ბოლოს, ქართული პანტომიმის თეატრის შექმნა.

თავიდანვე გათვალისწინებული არ ყოფილა რომ ახალი პანტომიმისათვის სახელეც ახალი ეწოდებინათ. მას რეპეტიციების დროსაც კი „მზეთაშვე“ რქმევია და ბოლო სტადიაში მო. უნათლად „ხანძარად“, რასაც ადასტურებს დ. მაკავარიანისა და არჩ. ჩხარტიშვილის ჩანაწერები სარეპეტიციო დღიურში.

„მზეთაშვისა“ და „ხანძარსა“ დაკავშირებით ოთ. ეგაძემ ჩაატარა მეტად დაგულისხმობი დაკვირვებანი და საინტერესო მოსაზრებებიც გამოთქვა 1961 წელს. მისი აზრით, მარჯანიშვილი „ფიქრობდა შექმნა ახალი სახის სახალეტო სპექტაკლი, რომელიც სათავეს დაუდებდა პირველ ქართულ კლასიკურ ბალეტს, თავისუფალ შტამებისაგან და მანერულობასთან. ამ დღე მისიას ფრთა შესასხა ვახტანგ ჭაბუკიანმა“.

ამვე დროს, ოთ. ეგაძე ამტკიცებს „ხანძარს“ უპირატესობას „მზეთაშვისთან“ შედარებით და სამართლიანად ასკვნის: „...ამ სპექტაკლით ფოო სწორედ ეს, რაც „მზეთაშვისა“ აკლდა, — დიდი სოციალური უღერადობა, აღმართის ტრაგედიის ფართო განვრგადება, ერის სეველის ერის ფიქრად გადაქცევა, ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლაში ყველას ბედნიერების მოძებნა“...³

უმთავრესი კი ის არის, რომ, ოთ. ეგაძის აზრით, ქართული ეროვნული კლასიკური ბალეტის საძირკვლის ამოყვანაში დიდი წილი უდევთ როგორც „მზეთაშვისა“ და „ხანძარს“ ასევე კ. მარჯანიშვილისა და ალ. ახმეტელის ქორეოგრაფიული მიზანსცენებით გაიმდიდრებულ შრავალ სპექტაკლს.

სტატიაში „მზეთაშვე“ და „მზეკაბუკი“ ოთ. ეგაძე, ვ. ჭაბუკიანის „მთების გული“ (იგივე „მზეკაბუკი“) დღემასთან დაკავშირებით, აყენებს საკითხს: „...სადა დღეს ანეთი გმირულ-პეროიკული სახალეტო სპექტაკლის სათავე ჭაბუკიანის შემოქმედებაში, რამ მისცა რწმენა, — შექმნა ისეთი ფუძემდებლური ნაწარმოები, როგორც „მთების გული“ და „ლაურენსია“. და თავადვე უბასუხებს: „ჩვენი აზრით, ყოველივე ამის საწყისი ქართული თეატრის, კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის შთამომავლები შემოქმედებაა, მარჯანიშვილისეული ფუძემდებლური „ფუნტენი ოვებუნა“ და ფრიალ საინტერესო ქორეოგრაფიული „მზეთაშვე“ და „ხანძარი“ არის. სწორედ მათში უნდა ვეძიოთ



ქაბუციანის „მთების გულის“ სათავე“. და ცოტა ქვემოთ: „მარჯანიშვილის „მზეთამზე“ და ქაბუციანის „მზექაბუცი“ „ხანძარმა“ შეაუღლა“.

თუ ამ აზრს გავიზიარებთ, ნათელი გახდება კ. მარჯანიშვილის პანტომიმების მნიშვნელობა არა მარტო ქართული თეატრისთვის, საერთოდ, არამედ ქართული კლასიკური ბალეტისთვისაც, კერძოდ. ამრიგად, კ. მარჯანიშვილის პანტომიმები „მზეთამზე“ და „ხანძარი“ განსაკუთრებული მოვლენაა ქართულ თეატრალურ ხელოვნებაში.

დიდი რეჟისორი გარდაცვალების წინა დღეებშიც შთამაგონებლად ლაპარაკობდა პანტომიმის მომავალ წინსვლა-განვითარებაზე, ზრუნავდა მის დამკვიდრებაზე. 1938 წლის 26 მარტს მას უთქვამს თ. ვახვახიშვილისთვის: „მეც ასე. „დონ კარლოსს“ და „დამურას“ გამოვუშვებ და მაშინვე დაგბრუნდები. ჩამოვალ და ჩვენებურად ჩაეუჭდეთ სამუშაოს — ამ დღი რამ გვაქვს გასაკეთებელი. შეიძლება შენი ბალეტიდან პანტომიმაც გავკეთო... პირველ პანტომიმის თეატრს გავხსნი, რა თქმა უნდა, საქართველოში, ახალგაზრდების ძალეებით“.

„დონ კარლოსის“ რეპეტიციების დროს კი დიდ რეჟისორს ასე მიუზარტავს ნ. გ. ალექსანდროვასთვის: „უთხარი თქვენს ქმარს, რომ აუცილებლად დაწეროს დიდი პანტომიმა-სპექტაკლი. მე მას დავდგამ“.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ კ. მარჯანაშვილი აპირებდა ისეთი შედეგის დადგმასაც როგორცაა რ. გლიერის „წითელი ყუაჩი“, და რომ დაცლოდა, ვინ იცის, რა თვალშეუდგამ სიმალღემდე აიყვანდა პანტომიმასაც და ბალეტსაც, რა სიამოვნებას მოუტანდა მკაუჭებელს.

მსახიობთა სხაეპი ქეთევან მაღალაშვილის შემოქმედებაში

50-იანი წლების პირველ ნახევარს ეკუთვნის ცნობილი ქართველი პორტრეტისტი ქალის ქეთევან მაღალაშვილის მიერ შექმნილი ჩვენს ეპოქის გამოჩენილ მსახიობთა: ნატო ვაჩნაძის, უშანგი ჩხეიძის, სერგო ჯაჭარაიძის და ნუცა ჩხეიძის უკვდავი სახეები. ამ პორტრეტებში მსახიობთა სხვადასხვა ტიპობრივების, ხასიათების, შემოქმედებით თავისებურებების ღრმა ანალიზის საფუძველზე თავისუფლად შეიძლება რაღაც საერთოს, ნათესაურის აღმოჩენა. ხანგრძლივი გამოცდილებით, ცხოვრებისეული დამკვირვებებით, ქეთევან მაღალაშვილმა გამოიმუშავა პორტრეტის შექმნის მთელი რიგი ხერხები, რომლებიც აძლევს მას საშუალებას ყოველ ახალ შემთხვევაში მონახოს უზუსტესი და უშეცდომო გადაწყვეტა. იმისათვის, რომ გამოიმუშავო ასეთი სისტემა, არ არის საკმარისი იყო მხოლოდ მხატვარი, საჭიროა იყო მოაზროვნე, ღრმად, ყოველმხრივად გაიაზრო სინამდვილე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მხატვარს არ იზიდავს მსახიობების „თეატრალური“ პორტრეტები. მსახიობი მას უმთავრესად აინტერესებს, როგორც პიროვნება, რომლის ხელოვნება ადგევს, ამადლებს და აკეთილშობილებს მსახველს. ამგვარ პირობებში მსახიობის ნატურა სულაფრად უფრო ახლოს იდგა მხატვართან და იგი უფრო თავისუფალი ხდებოდა მსახიობის აღქმაში. ისევე როგორც ყველგან, ამ შემთხვევაშიც მხატვარი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დამახასიათებელი პოზის ოსტატურ შერჩევას. როგორი სადა და უბრალოც არ უნდა იყოს მისი პორტრეტების კომპოზიცია, ისინი არასოდეს არ იმეორებენ ერთი მეორეს. ღრმად არიან და.

1 იხ. თ. ვახვახიშვილი, კოტე მარჯანიშვილის ექვსი სპექტაკლი, გვ. 13-14; 34-44.

2 ოთ. ევაძე, ხალხის რევოლუციური ბრძოლის ამსახველი ორი სპექტაკლი. ქ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1961, № 3, გვ. 92.

3 „საბჭოთა ხელოვნება“, 1961, № 2, გვ. 91.

მხასიათბელი სწორედ მოცემულ მოდელისა. თვის, მისი ხასიათისა და ტემპერამენტისათვის. ამაზე მეტყველებს მხატვრის მიერ შექმნილი თუნდაც ეს ტილოები.

ქართული კინოს პირველი ვარსკვლავის, ნატო ვანჩაძის სახე, ქეთევან მაღალაშვილის შემოქმედებაში უკვე ადრეულ წლებში გვხვდება. მცირე წომის პორტრეტზე მხოლოდ თავია მოთავსებული შვილის ნუკრივით ღვთიური თვლებით (სურ. 1). შემდეგ სწორად უბრუნდება მას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხასიათში მხატვარს უპირველეს ყოვლისა, მისი დიდი ერუდიცი და განათლება ხიბლავდა. ნატოს ხსენებაზე ტერ მხასიათის ნიჭს და ჭკუას აღნიშნავდა, შემდეგ კი სილამაზეს. ეს გასაკვირიც არ არის, ნატოს გარეგნობაში ქეთევან მაღალაშვილი მართო ფიკსურ სილამაზეს რომ დაეინტერესებინა მის მხატვრობას შეიძლება ბანალური იერიც კი მიეღო. 40-იან წლებში შესრულებულ ნატოს პორტრეტებიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ორი მათგანი. პირველზე ნატო ფასშია მოცემული წელამდე, მხრებზე მოდებული ბეწვით. პორტრეტში არ არის განსაკუთრებული აღმოჩენები, მაგრამ იმდენი საიდუმლო, თანდათანობით გახსნილი მომხიბვლელობა, რომ უკვე ძნელია გაარჩიო, საიდან მოვიდა იგი ამ არაჩვეულებრივი სილამაზის სახიდან, შუბლზე ლაღად გადახატულ წარბებს ქვეშ დიდრონი სხვიანმდგარი თვალებიდან, რომელთა სიღრმემ თითქოს სამუდამოდ შეინარჩუნა კანონს პარაფეტრობის სიკაშკაშე, თუ ნაზი საღვთისფერი გამიდან. წერის მანერა ასეთია: სახე იწერება მკვრივად, ტანსაცმელი თავისუფლად. მხრებზე მოდებული ბეწვი იმდენად თხლად, რომ მის ყოველ ღერს შეეფარდება ფუნჯის მონახში.

მეორე პორტრეტზე ნატოს გამოსახულება მუხლებამდე (სურ. 2), სახე და ფიგურა პროფილში. შავ ბეწვის ქუდსა და პელერინის მსგავს მოსახსნაში ჩატყული ნატო რაღაცით კრამქოის „უცნობ ქალს“ მოგვაგონებს, მაგრამ კრამქოის პორტრეტში უფრო კონკრეტული ფსიქოლოგიური მეგობარეობა ხაზგასმული, დრო უფრო დავიწყებულა. ამ შემთხვევაში უფრო მჭკრეტელობით აღქმა გვაქვს. არაჩვეულებრივი სილამაზის ქალი, რბილი ჩრდილებით თვალბთან, სახის რბილი, გადასვლებით, თავის ფიქრებშია წასული და კადრს მიღმა პეკს მიყრბილი მგერა. ამის გამო ჩვენ არ შევღვივართ უშუალო კონტაქტში მოდელთან და ეს თითქოს საშუალებას გვაძლევს, გარკვეული დისტანციიდან დატკბეთ მისი სილამაზით.

პორტრეტი იწერებოდა მთელი 1949 წლის განმავლობაში, როდესაც საზოგადოებრიობა ნა-



ნატო ვანჩაძე (სურ. 1).

ტოს სასცენო მოღვაწეობის 25 წლისთავისათვის ემზადებოდა. ნატო მეტად დაკავებული იყო. მაგრამ მიუხედავად ამისა, სიამოვნებით დადიოდა სენსიტივ მხატვრის სახელოსნოში. მეტად საინტერესოა მისი მოგონებანი, რომელშიც იგი მხატვრის წესტ ლიტერატურულ პორტრეტს გვაძლევს: „მიუხედავად ჩემი დატვირთვისა და დიდი დაღლილობისა, სიხარულით დავდიოდა ხოლმე სენსიტივ ქეთევან მაღალაშვილთან.

„მაღალაშვილი თავისებური ადამიანია, როდესაც მაღალაშვილზე ვფიქრობ, ყოველთვის ჩემი საუკარეო ლიტერატურული სახე ილია ჭავჭავაძის ოთარაანთ ქვრივი მახსენდება. მას ახასიათებს იშვიათი პრინციპულობა ადამიანებისა და სამუშაოს მიმართ. სუნთქავს და ცხოვრობს მხოლოდ და მხოლოდ შემოქმედებით, მუშაობის გარეშე მისთვის სიცოცხლე წარმოუდგენელია.

სენსიტივის დროს მიყვარს მისი დიდი შავი თვლების ყურება, რომლებიც ღრმა გულისყურით მაცქერდებიან, როდესაც ნამუშევარს განსაზღვრა სჭირდება, იგი პორტრეტის მოშორებით დგება და შორიდან ათვალიერებს მას. შემდეგ ისევ ახლოს მიიწევს და ისევ შორდება. თვალბი გამპრიახად მოეკუტება, დამაბახსიათბელი ფართო წარბები, შევეცხვლილი თმები და მაღალი შუბლი მნიშვნელოვანს ხდის მის სპეტაკ სახეს, მის ლამაზ ხელში სამუშაო პალიტრა და ფუნჯების კონა მხატვრის დამთავრებულ სახეს ქმნის.




უშანგი ზურგმიბეჭენილია ტახტზე, ხელში დახურული წიგნი და სათვალე უპირავს, სახეზე ღიმილი და აკრავს, თითქოს გაელეებულ აზრს იპერს და ცდილობს უფრო ნათელი გახადოს იგი. სახეზე განსაკუთრებულ ყურადღებას იმპრობს სულიერი წვით ანთებული მეტყველი თვალები, რომლებსაც თითქოს ჰიანოზური ძალა აქვთ (ისინი ძალზე რთულად იწერება. გუგები მოცისფრო, ხოლო თვალის კაკალი ღურჯისა და ყვისფერის შენავებით, ბლიკებითა და მოყვითალო წინწყლებით. თვალის წერაში ეს თითქოს უნებლიე პირობითი ხერხი ხაოცარ ხიღრმეს ანიჭებდა მათ.). უშანგი ჩხეიძეს ტანზე მოგდებული აქვს მუქი ღურჯი მოსასხამი წითელი სარჩულით, რაც თითქოს შეგვარძნობინებს ვნებების ბოზოქრობას და ხელს უწყობს ფიციურად და მდორებულ პიროვნების დრმა დრამატისმის გამოვლენას.

ნო-იანი წლების პირველ ნახევარში შესრულებულ პორტრეტებიდან არ შეიძლება გვერდი ავუაროთ მსახიობ ნუცა ჩხეიძის პორტრეტს (სურ. 5), რომელიც მხატვარმა მეტად თავიებურად გადაწყვიტა. ამ შემთხვევაშიც მსახიობი ქალის პორტრეტისათვის მხატვარი არ იყენებს სცენურ სახეს, აქაც მას აინტერესებს არა მსახიობის გარდასახვის უნარი რაიმე გმირში, არამედ იტაცებს მისი პიროვნება, ხასიათი, მიუხედავად ამისა პირველი შეხედვისთანავე ნათე-

ლი ხდება, რომ ჩვენს წინაშე განსაზღვრული ამოღების მსახიობია, და მართლაც, თანამედროვეთა მოვლენებით, ნუცა ჩხეიძე ვერბრუნდება გრძნობებით ამტყველებდა დრამატულ როლებს. მაგრამ ამ პორტრეტში მხატვარი ხაზს უსვამს არა იმდენად მსახიობის შენაწინავე უნარს, ძლიერი დრამატული როლების შესრულებისა, არამედ თვით მასში ნახულობს დრამატული ნატურის ნიშნებს, გვაჩვენებს არა მსახიობ ქალს, არამედ აღიქვამს მის პიროვნებას ბუნების მთელი სირთულით. მსახიობი, რომლისთვისაც ქართული თეატრი იყო საუფლოც და საკურთხეველიც, ზის თითქმის ზურგით შავ დრამირებულ ტანსაცმელში მუქი შინდისფერი ფარდის ფონზე (ფარდა, უპირველეს ყოვლისა, ხაზს უსვამს არტიტულობას, ვარდა ამისა, ორიენტაციას ქმნის არა სიღრმეში, არამედ ხელს უწყობს სიბრტყეში ფიგურის მარცხნიდან მარჯვნივ გაშლას, ამას კი თუნდაც თავისი უჩვეულობით, დაძაბულობის ელემენტი შეაქვს პორტრეტში), მსახიობს სახე, ტრაგიკული თხელი ტურჩებით ოდნავ შემობრუნებული აქვს, მწერა კი დიდრონი სეკდიანი შავი თვალებისა მიმართული აქვს შორს, კადრს მიღმა. თუ ხევა პორტრეტში ქეთევან მაღალაშვილი საერთოდ მახვილად ახასიათებს პიროვნებას, მაგრამ მაინც ფერთა მარმონიულ, ზომიერ შეხამებებს არჩევს, იშვიათად მიმართავს მკვეთრად ექსპრ-

სერგო ზაქარიაძე
(სურ. 3).





უშანგი ჩხეიძე
(სურ. 4).

სიულ ხერხებს (ამ შემთხვევაში ჩვენ ვგულისხმობთ ამ სიტყვის სპეციფიკურ ვიწრო გაგებას, როდესაც ნახატი, ან ფერადღვანი შეხამებები ან კიდევ გარკვეული შინაარსობრივი აქცენტები ხაზგასმულად უტრირებულია გამოხატველობის და ემოციური შემოქმედების ვასაძლიერებლად), ამ შემთხვევაში ფერად წყობას განსაზღვრავს ეფექტი ფარდის შინდისფერის შავი ტანაცმლის, ხასხასა თეთრი თმების და ძალზე ფერმკრთალი სახის, რაც პორტრეტს ერთგვარ მშფოთვარე შთაბეჭდილებას მატებს და აძლიერებს ემოციურ შემოქმედებას. ამ პორტრეტში თავისი მხატვრობით ქეთევან მაღალაშვილი გერმანელ ექსპრესიონისტებს უახლოვდება.

ქეთევან მაღალაშვილი ის ხელოვანია, რომელიც მთელ თავის ნიჭს და ოსტატობას თავისი მშობლიური ერის სამსახურს მოახმარა და ისტორიისათვის უკვდავყო ჩვენი დიდი ეპოქის მოწინავე ადამიანთა სახეები, რომლებიც ყოველთვის იქნება ნოყიერი ნიადაგი მომავალ მხატვართა აღზრდის, პროფესიული დაოსტატებისა და შემოქმედებითი ტალანტის გაფურჩქვნის საქმეში.

ქეთევან მაღალაშვილის ხელოვნების ბუფანიზმი აყენებს მის სახელს საბჭოთა კავშირის საუკეთესო პორტრეტისტთა რიგებში.

შემდეგ, 1958 წლის 1 დეკემბერს, უშანგი გარდაიცვალა.

³ ნ. კილასონია, მ. გეგუქორი, შეხვედრა ქეთევან მაღალაშვილთან, უ. „საქართველოს ქალი“, 1972, № 7.



ნუცა ჩხეიძე (სურ. 5).

¹ ნ. ვაჩნაძე, მოგონებანი და შეხვედრები, თბ., „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1966, გვ. 164.

² პორტრეტის დასრულებიდან ერთი წლის



ორი პიესა

მართული ლექსისა და მოთხრობის გვერდით ქართული დრამატურგია მკრთალად გამოიყურება, მაგრამ ამას თავისი გამართლება აქვს: ჩვენ არ მოგვეძიება (შესაძლოა ვერ მოაღწია ჩვენამდე) „შუშანიას წამებისა“ თუ „ვეფხისტყაოსნის“ ასაკის არცერთი პიესა. ამ ვითარებამ უდავოდ დიდი გავლენა იქონია უახლესი პერიოდის ქართულ დრამატურგიაზე, თუმცა, უნდა ითქვას, შეიქმნა არაერთი მშვენიერი დრამატული ნაწარმოები.

ჩვენ გვყავს რამდენიმე მშვენიერი დრამატურგი. ერთ-ერთი მათგანია ვალერიან კანდელი. მისი მრავალი პიესა საქვეყნოდ ცნობილი და გახმაურებულია. მაგალითისათვის „შია წყნეთელიც“ კმარა, ჩვენ ამ შემთხვევაში შევეხებით ბოლო პერიოდში შექმნილ დრამატურგის ორ პიესას — „დონ კიხოტის მოგზაურობა საქართველოში“ და „აეტი“, რომელიც ამასწინათ გამოხსცა საქართველოს თეატრალურმა ხელოვანებმა.

„დონ კიხოტის მოგზაურობა საქართველოში“. ამ პიესის შინაგანი ცოცხალი ფონი იმდენად მკვეთრი და ემოციურია, რომ იქმნება სახეთა, ასე ვთქვათ, მრავალისმეტყველი ვალერია. ნახატის ე. წ. ნატიფი ფერი „შორი სივრცის“ ყოველ წერტილს მთლიანად იმორჩილებს. ...პიესის მთავარი გმირი „მწუხარე სახის რანდი“ დონ კიხოტი თავის საპურველმთვითველს ხანროსთან ერთად პირდაპირ „ლიმილის მორცევი“ გვითრევს, ასევე, მისი ყოველი სიტყვარადიკალურად გონისმიერია. „დამისა შუქო, შთამბერე ძალა, ესპანეთი ბოკილებშია“, —

შეზღადავებს ესპანელი რანდი დონ კიხოტი „ძალაგამოღებულ მთვარეს“ (კაცობრიობის პატივით), ბორჯავს, შოკთავს, უხმობს თავის ერთგულ მეგობარ სანჩოს და... მიდის საქართველოში... პიესის პირველივე სურათიდან დრამატურგი სახეს და საგანს, ასე ვთქვათ, ფრთხილად აცოცხლებს (შინაგან ფარულ დინამიზმს კვლავდაკვალ მისდევს). „ფრთხილი ნახატი“ იმდენად მკვეთრია, რომ პიროვნების ე. წ. ფსიქოლოგიური პორტრეტი ჩვენს ყურადღებას მთლიანად იპყრობს. გვეცხადება სანჩო თავისი განუწყრელი ვირით, გვეცხადება და ჩვენს ფიქრსა და გონს წუთით არ შორდება, მისი ცოლის ტერესა პანას „მშვენიერებასაც“ სრულყოფილად წარმოვიდგინოთ. ყოველივე ამას „შეცვარი“ სანჩოს მეშვეობით ვაღწევთ, მისი ორიოდ სიტყვის მეშვეობით (როცა დონ კიხოტი საქართველოშიცენ მოიწევს, რათა იხსნას იგი, ხედარზე ამხედრებული სანჩო, ხმისდაწვევამდე გაიძახის: „ქოშებისათვის...“ ვ. კანდელია ყოველივე ამას ერთობ დამაჩერებლად ხტავს. კომიკური სიტუაციის ფონზე მთლიანად იხსნება პიესის უმნიშვნელო ნაკვიც (სტერესა პანასა და შაში ქოშები“... „წყუელი ვირი“, „ფერ. დებჩაღწილი როსინანტი“...).

დონ კიხოტისა და სანჩოს „მკრთალი“ დიალოგი უნაკლოდ ცოცხლდება ვეფხისტყაოსნისა ქვეყანა, დაცემული აეთარცა ამადიდა და ძველი აქედევსი“, ვხედავთ „მწუხარე რანდი“ და მისი საპურველმთვითველის დიდ მესტორიეს მიგელ დი სერვანტეს სახედა... კანდელიაქიებული, ასე ვთქვათ, მოძრავი სტრახი იმდენად ციცხალოა, რომ „დწერალობით დიალოგის“ შინაგანი სახე ჩვენთვის ერთობ თვალმისაწვდომი ხდება. იხსენება მუქ-ლურჯი რკალი და ქუდდმუხლდელად შევდივართ ქართველი თავადის ქაიხოსროს ციხე-სახსხლეთში. აქვე მინდა შევეხო დრამატურგის ფრანხს პოეტურ სისასეს, რაც პიესის პირველივე მოქმედებაში სახელდახელოდ იკვეთება. აქა-იქ, მარ. თალია, დრამატურგი „მოჩვენებით სიტყვებს“ ვერ გაუტრბის, მაგრამ ძირითადად საქვე კეთადაა წარმართული. ცოცხალი, ბერძნისმეტყველი კონკრეტისმი, რაც ძირითადად მაღალმოეტურობისათვისაა დამახასიათებელი, კანდელიაქიებული ფრანხის ერთგული მეგზურია. ამ მხრავ სანიშნულოა დონ კიხოტის საუბარი ტუხალებთან, მისი „ფიქრები“ თავისუფლება და კაცთმოყვარეობაზე.

მიზევილი დონ კიხოტისა და სანჩოს სწრაფვა სიკეთისა და თავისუფლების მოპოვებისათვის ერთობ დამაჩერებელია. ასე რომ, ე. წ. დიმილიანი სტრიქონი ღრმად გვაფიქრებს (გარდახდილი ამბავისა და დროის გაიდელალება უწყინრად მიმდინარეობს).

„საქართველოს ინფანტა ვახაჭორშია“, —
ეუბნება ბრიყვ სანჩოს დონ კიხოტი და მოუ-
წოდებს ხმლით ხელში გაყევს. სანჩო, როგორც
ქოშების მამიებელი, უარს ვერ ეუბნება პატ-
რონს. ისევ ელანდება ქართველი თავადის ქაი-
ხოსროს მოხაზებაზე დათვი, ელანდება, მაგრამ
კა ქანს? საყვარელ ტერესას უქოშოდ ხომ ვერ
დატოვებ?...

დრამატურგი საინტერესოდ გვიხატავს თანდა-
რუხისა და ხორეშანის სახელს... ადამიანის ხა-
სიათის შინაგანი სივრცე გარემოს „საპირისპა-
როდ“ დგას. დონ კიხოტი, ლამაზი და მისი
ერთგულად საქურველითმტვირთული ყოვლად
უმხატვლის სანჩო „სხვისგან დამოუკიდებლად“
ამ მომენტსაც სახელდახელოდ წარმართავენ.
რადარულ, არადაშეკრებულ ამბავს ენაცვლები
ლაღობის სურათი. ამ „ურთიერთშენაცვლები-
სას“ პიეტის სივრცე უფროდაუფრო იშლება.
იხვეწება მეფის მისხარისა და მისახურის, კატორ-
ღელეუბნა და ბერიკეთის ხსიათი, მკვეთრდება
დასწევებულ ქართველი თავადის ქაიხოსროს
„დიდი პორტრეტი“ და ა. შ.

„ტვიტრი გოგრაბ“ — სანჩოს დახმარებით
დონ კიხოტი თანდარუხისა და ხორეშანის სი-
ყვარულს უხსნის გზას. ტოვებს საქართველოს
და მიდის თავისუფლება მომხატრებულ ესპანეთ-
ში, მიდის თავის თავდავიწყებულ სიყვარულ-
თან — დულსინეა ტობესკოთან (ლო, ესპანე-
თი! შენს ქმუნეთა ვახსაქარებლად მოდის
შენი მწუხარე შვილი... კუთრბეულო მიწავ;
უთვალავო ხალხნო აღმისაო, მე ვკვიითებუ;
ვტირი, რომ თქვენ რცინოთ, საღაღობოდ გაი-
ხაღოთ მიწა, მნათობნი...“). ეს ლაღადისი იმედ-
ნად ნადი და ჩუმი, რომ ბუნებრივ სახეს
იძენს. სანჩოსეული „გულბურჯვილო ნაზრევი“
კი პიეტის მოლიან სივრცეს ვარდისფერი შუ-
ქით მოსავს. ასე რომ, გზა ეკეტება „მაცდუნე-
ბელ დიმილს: „მიმიფურთხებია ყველა ეპოქი-
სათვის. გინდ დიდი იყოს, გინდ ერთი ციციქნა.
ეს რა ეპოქაა, როცა ერთი ენაცვლება ქოშებისა.
თვის გულბოყვს ჩავინგრევენ და ხევე ძალღი-
ვით ჩამოგვიდებენ. რაში მენადლება ეპოქა;
როცა ჩემს ტერესას ქოშები ენატრება“.


„დონ კიხოტი საქართველოში“ თავდაპირვე-
ლად შინაგანი ფსიქოლოგიური დინამიზმით იპ-
ყრობს ჩვენს ყურადღებას. დიმილიან სახეს
ცოცხალი სურათი ენაცვლება, ყოვლისშემძლე
იუმორს გულბურჯვილო ნათქვამი, რაც ასე თუ
ისე შინაგანად ჰკრავს და ამოლანების ნაწარ-
მოებს. აქვე, უნდა აღინიშნოს, ზოგიერთი ფრა-
ზა, პასაჟი მკრათლი და ერთობ ბუნდოვანია,
მაგრამ იმდენად უმნიშვნელო, რომ პიეტის
მოლიან სახეზე ვერც კი მოქმედებს. ასე რომ,
დონ კიხოტის საქართველოში „მოგზაურობისას“
მართლაც და მშვენიერი სანახაობა იხადება.

„ეტი“ ძირითადად შინაგანი, ასე ვთქვათ,
ჩუმი კონფლიქტი გამოირჩევა. კეთილდღეობა
სწორად არათანაბრად ენათებს დახატულ გარე-
მოს, მკვეთრი ფერებიც აქა-იქ არასასაჩინო
სახეს დებულობს, თუმცა, პირდაპირ უნდა ით-
ქვას, დრამატურგი ყოველივე ამას თავს მშვე-
ნიერად ართმევს და მოლიანად ენლობა ე. წ.
შინაგან სახებას, ასე რომ, საინტერესოდ ცოც-
ხლდება აღწერილი კოლხეთი (პიესაში ძირა-
თადად აღწერილია ოქროს საწმის წართმეული
კოლხეთის სამეფოს აღდგენის პროცესი აეტის
მერქ)...

ვ. კანდელაკის მიერ გაცოცხლებული აეტის
სახე ერთობ მკვეთრი და მტკიცეა... დრამატურ-
გი, როგორც პირველ პიესაში („დონ კიხოტის
მოგზაურობა საქართველოში“), ასევე აქვე ჭან-
სალ იუმორს უხსნის გზას, რაც ერთობ დად-
ნითად მოქმედებს სანახაობის „ოვინიერ“ მხა-
რეზე. ნათქვამის ქვეტექსტი სერიოზული ქმე-
დების არს დასტრიალებს თავს. ამდენად პა-
როცენების შუქ-ჩრდილიანი სახის უსაზღვრო
სივრცე „სხვისი სიტყვებით“ სახელდახელოდ
იქრწება („აჰო, მე ტურა ვარ, ჩაჩაიაკი“)...
აეტის მიერ აჯოს „განწირვის“ სურათი (მგლე-
ბის ორმოში უნდა დაფიქსირდეს აჯოს) ტრავი-
კულ-კომიკურ ელფერს ატარებს. ვითარებისა
დასრულებულ სახეს დებულობს ცამეცხისა და
იარღლის სახე, შათი ქმედების შთავარი ფო-
ნი... დრამატურგი ორიოდ სიტყვითავე კარგად
ახერხებს „სულელი მედას“ გაცოცხლებს, მის
მიერ ჩაღნილ „უჯადის“ მოქმედებას... აქვე
უნდა დავიხსოვო, რომ „დონ კიხოტის მოგზაუ-
რობა საქართველოში“ და „ეტი“ იკითხება,
როგორც ლირიკული ნოველა. ასე რომ, ის აჯ-
რი, თითქმისა პიესა წასაკითხად არაა მიანცდა-
მანიც სახიამოვნო, ქარწყულდება.

„შვის გულზე იღვრება უმანკო სისხლი. გაუ-
ტანლობა, შური, ომიც იმ სინათლეზე წარმოი-
შობა“...—ხერაფიტას ეს სიტყვები დამკერბლო-
ბას არაა მოკლებული, ბუნებრივ სახეს ატარებს
(ნათქვამი საგნისა და მოქმედების ურთიერთშე-
თანხმებისკენაა მოლიანად მიზართული).

„ეტი. ხერაფიტა, წადი, თორემ თავს წაგა-
ლექ! ბავშვობაში მგლის რტეს მასმეცდენენ,
მგლის რტეს წადი, ო, რაროვად მეშინია არ შე-
მომაველი“... „არა შენ ერთი ხარ, უმანკობელი
ავსილი ნიბრძენი“... „ბოროტება ჩამხასხლად
სულში, ქალი შემიყვარა, ქალი... კერპად და-
ვისვი...“ „ჩემი“ უღრმობელი ბრძოლის მერქ
იღუპება აეტი, მაგრამ იღუპება, როგორც შემ-
ფერის ქეშმარიტ მეფის... ზუხტი, მოწოლილი
მოქმედება ყოველ ნაბიჯზე ახალ-ახალ სიტუა-
ციებს წარმოშობს, სახისა და საგნის ყველა
მხარე სახელდახელოდ ნათდება. სწორედ ესაა
ის შთავარი და მამოძრავებელი ძალა, რაც ნა,



წარმოებს ამშვენებლებს და თვითმყოფადობას ანიჭებს.

ვალერიან კანდელაკი მეფესა თუ მეფის მახარას „ერთნაირი“ ფერებით აცოცხლებს და; რაც მთავარია, სიტყვის მიღმა უპატრონოდ არ ტოვებს არსებითს — მხატვრულ სხვახეს...

„აეტის“ ემოციურ სახეზე ერთობ დადებითად მოქმედებს ნაშარბისა და ხალხის „უჩინარი“ საქმენი. „პროცესირების“ უფრო მკვეთრდება სერაფიტას ყოფილი მეუღლის იარღვლის სახე, დუმდუმ მერის „მშვენიერით“ კი მშის შვილის — აეტის სწორუპოვარ საქმეს ცხოველი ნათელი ემატება.

ვალერიან კანდელაკი სახის გაცოცხლებისას თავდაპირველად ე. წ. შინაგან პორტრეტს უთმობს მთავარ ყურადღებას. ამ მხრივ მის მიერ გაცოცხლებული დონ კიხოტი, როგორც ვთქვით, მართლაც საინტერესოა (ე. წ. მოძრავი ჩრდილი არაა ჩუმი, მაცდუნებელი). დრამატურად „დაწყვეტამდი“ ძაბავს ყველ შტრიხს; რაც მთავარი სახისა და „მეორეხარისხოვანი პერსონაჟის“ ერთგული მეგზური ზდება. აეტის პორტრეტი, ისევე როგორც დონ კიხოტისა, ბუნებრივ სახეს ატარებს (სულიწმინდის ლაღი სიმღერის „მიღმა“ კიფობს ნელთბილი სხივი იუმორისა). ერთი სიტყვით, აეტის მიერ წარმოქმნილი ყოველი სიტყვა ნივთიერ კავშირში იმყოფება იმ წერტილთან, რომლის გარშემო იყრის თავს ნაწარმოების „ერთნაირი გამოხახვი“ და... უცებ, ამოსუნთქვისთანავე, კვდება მქრქალი ფერი და გვა ეხსნება თვითმყოფად ნახატს.

სერაფიტას მამის დუმდუმ მერის „მოკანკალე ხმა“ პიესის კომპოზიციურ მხარეს ერთობ ამაგრებს... „ბებერი, ხრინწი!“ — ხარო ეუბნება ყოვლისშემძლე აეტს დუმდუმ მეროზე, ეფერება თავის ასულს — სერაფიტას და... როცა აეტის ხმალში გამოიწვევს, ირონიულად ეუბნება: „ჩემს მახვილს ჩემი ბიჭები მოათრევენ. იმის ტარება სად შემიძლია“... დუმდუმის ნათქვამი სიტყვების მიღმა ჩნდება ერთი „მატარა წერტილი“, რომელიც ხშირად ქრება, მაგრამ; საოცარია, მის არსებობას მანც ვერ ვიციწყებთ.

ვალერიან კანდელაკი აეტის გარშემო აერთიანებს თითქმის ყოველ მოქმედებას. ბუნებრივია ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან აეტია პიესის მთავარი პერსონაჟი, თუმცა, უნდა ითქვას, რომ გორც ზემოთ მივანიშნეთ, „მეორეხარისხოვანი პერსონაჟებსაც დრამატურგი მთელი დაძაბვით გვიხატავს (მაცნე, ვაჟი...). მათი ყოველი სიტყვა იმდენად მოწონილი და თვითმყოფადია, რომ ნაწარმოების შინაგან დინამიკის უმარაგოდ ენიჭებიან. ეს „უხმაურობა“ კი პიესის ცოცხალ ფონს ერთი-ორად ზრდის.

ვ. კანდელაკი პიესაში ხალხური ლექსის „მე დედა ჩემი, მთვარე — მამაჩემი, წვრილ-წვრილი ვარსკვლავები და და ძმა ჩემი“... უ. წ. გ. სურხატოვანს მიმართავს. „გასურხატოვანობას“ მაღალსახოვანი მშფოთვარე სტრიქონ პერსონაჟთა შინაგან სახეზე კეთილად მოქმედებს, ნახატის, ასე ვთქვათ, ფსიქოლოგიური ფილოსოფიური მხარე ერთთავად იკეთება. ამ მხრივ საინტერესოა ასევე პიესაში ჩართული ბევრი სხვა სტრიქონიც.

... დონ კიხოტისა და აეტის, სანჩოსა თუ იაროლოსის სახის გაცოცხლებისას დრამატურგი განგებ „ამომიშვს“ ფრაზას, სახეს ე. წ. მკრთალ ნათლისკენ უბიძგებს და ძირითადად ეყრდნობა უმთავრეს წერტილს — მჩქეფარე ლირიზმს.

კეთილშობილთ პიესას. იზადება გარემო — მშფოთვარე, ცოცხალი. ვხვდებით კანდელაკისეულ „მწუხარე სახის რაინდს“ — დონ კიხოტს, კოლხეთის მეფეს აეტს, სანჩოსა და თან. დარუხს, ულამაზეს ხორშუნას და სერაფიტას... ვხვდებით და მათს სახეებს ვიმხსოვრებთ.



მოგონებები

ამ აზრს ვაიზიარებ სველა ის, კემშარტი
ხელოვნებით გასულდგმულბული, ვისაც ერთ
თხელ მაინც შეუნაწინავს, მოსუნქნია...
უგრძენია სამება!..

იოსებ იმედავილი

ჩემი მსოფრადის
წიგნიდან

ვლ. ალექსი-მისხივილი

ჩემი სათეატრო-სამწერლო ხანგრძლივი მუ-
შაობის დროს ხშირად მიფიქრია, რა უსუსუ-
რი, რა უბედური იქნებოდა ჩვენი სცენა,
ვლადიმერ სარდიოსისე აღექსი-მესხივილი
რომ არა გეყოლოდა!

რა თქმა უნდა, ჩვენს თეატრს ჰყვანდნენ და
ჰყვანან სხვა დიდი ქურუმნიც, სცენის საუცხოო
ოსტატნი, მაგრამ ვლადიმერ აღექსი-მესხივი-
ლი მაინც სულ განქერძობებულად იდგა, სრუ-
ლი თავისებურებით.

გარეგნობა
ბარამზ(ობი) უცხო რამ აღნაგობისა და სი-
ლამაზის, შუა ტანის, არც სქელი, არც ტან-
წვრილი, თითქო ხელოვან-მოქანდაკის ხელით
მარმარილოსაგან გამოქანდაკებული, აპოლონი-
სებური სახის ნაკეთებით, შუბლით, თავით
თავისებური თმის დავარცხნილობით...

განა შეიძლება აღწერილობით მისი გარეგ-
ნული სილამაზის გადმოცემა?!..

პირთვლ გამოჩენილ მოღვაწეთაგან სილა-
მაზით ორი კაცი ჩამირჩა მესხიერებაში: მზიუ-
რი აკაკი და გრძობიერი ლადო, მაგრამ ერთ-
მანეთს კი არა ჰგვანდნენ: თითოეული ამ ორ-
თაგან თავთავისებურის სილამაზის იყო, —
ყოველთაგან ყურადღების მიმტაცებელი

როცა ლადოს სცენაზე არა ვხედავდი, სცენა
თითქმის ყოველთვის ცარიელი მეჩვენებოდა!..

პოეზიაში — აკაკი, ოპერაში — ვანო, დრა-
მაში — ლადო, —ი სამება, რომელიც ჩვენს
შემოქმედებით საგანძურს მხოლოდ თავისე-
ბური შარავანდედით მშოსავდა!..

ხელოვნება ხალხს ეპოქის

ბასული საუქუნის 90-იან წლებში ერთი სა-
ბენეფისო წარმოდგენის დროს ბილეთები აღ-
რევე გაიყიდა. წარმოდგენის საღამოს დიდძა-
ლი ხალხი მოაწყდა ქანდარას, — ქანდარაზე
ასახვლელი კიბის დაბალი საფეხურიდან მალ-
და შესახველამდე, მდებარე ხალხი კულ-
ში იყო მიმდგარი, — ბილეთიანებს (თითო 25
კაპ.) უბილეთონიც წინ უსწრებდნენ და კარგ-
ში მდგარ შემწვებს 50 კაპ. ან 1 მანეთიანს
უღებდნენ ხელში, ოღონდ წარმოდგენას დასწ-
რებოდნენ. ბილეთიანებს უქირდათ, ხოლო ვი-
საც 50 კაპ. ან 1 მან. არ გააჩნდა, ისინი ხომ
გულდაწყვეტილი ტყუილად ცდილობდნენ
„გაძრომას“. იყო აურჯაური, ჩოჩქოლი, ამ
დროს საიდანაც გაჩნდა ლადო მესხივილი,
ხალხი მისწი-მოსწია, ვითომ წესიერების დამ-
ცველი უწესრიგო მაწესრიგო მაღალის შეტე-
ვით გვერდს მიაყენა და აღშფოთებული ჩახ-
ლენილი ხმით შესძახა:

— შენ განა იმითმე დაგაყენეს, რომ აქ სა-
კუთარი დუქან-ბაზარი გამართო, — ბილეთე-
ბი მთლად გაუიდულია, თეატრი ხალხს ეკუთვ-
ნის;

ჭერ ხალხს გზა გაუხსნა. ჭერ ბილეთებიაზე
შეუშვა, შემდეგ უბილეთო!..

ეს სურათი დრმად ჩამენერგა გულში.

ხელოვნების სიტბო და უსიტბო თამაში

ლადოს ზოგჯერ სცენის ისეთ მუშაკთა შო-
რის უხდებოდა თამაში, რომელთაგან ზოგს
ართუ სასცენო ნიჭი, არამედ სცენის ელემენ-
ტარული ცოდნაც არ გააჩნდა, მაგრამ ლადოს
მალალ ოსტატობას ისინი მოხერხებით დირ-
სეულთა შორის გამოჰყავდა.

ყოველთვის, როცა კი ლადო სცენაზე გა-
მოდიოდა, თეატრში რაც უნდა გულციოთა ყო-
ფილიყო, ერთგვარ შინაგან გამაცხოვლებელ
სიბოძს, შუქსა და სინათლეს იგრძნობდნენ.

მის მიერ განსახიერებული როლების (ჰამ-
ლეტი, ფრანც მოორი, კარლოსი, ურიელ აკოს-
ტა, ნეწნაოვი, კაი გრაჰი, რასპლუევი, ედ-
გარი, ვარლივი, ტომას ლერი და სხვა). ლა-
დოსებურად შემსრულებელი არ მინახავს არც
ერთ ენაზე, — ყველა ამ როლში ლადო თავი-
სებური იყო, შემოქმედების მწვერვალზე
მდგომი.

განსაკუთრებით მაგონდება „გულისთქმა“..ში
ერთი მთავარი როლი, რომლის შესრულების
საუკეთესო აღწერა მოგვცა ილია ზურაბა-
შვილიმა, მაგრამ ის, რაც ლადოს მიერ ამ რო-



ლის შესრულებით მდებარე, მწიფი წიგნი, სიტყვით გადმოვიცხ. როგორც ცნობილია, ლალო გვერდის ოთახში ქალ შეხვედრა. მოსმის ძლიერი ბრახუნით, მიერე ხნის შემდეგ გვერდის ოთახიდან საიდანაც ხმა მოისმა, სცენაზე გამოჩნდება ლალო თმაბუქანელი, სახეშეშლილი. მაყურებლები გაქედლად დარბაზს ელექტროდენივით იდუმალო შიშის გრძნობა გაუვლის: გვერდის ოთახში რაღაც საშინელება მომხდარა. ლალო უხმოდ, ოდნავ მიბრუნებული, დია კარისკენ სტუორცინის თვალითა ისარს, ანაც მაყურებელთა შთელი უურადღებაც მიჰყვება და იგრძნობს, რომ იქ — ოთახში რაღაც საშინელება მომხდარა. ლალო საუფლოს მოიწვეს, სერთუის კალთებს ჩამოიქიმავს, თითების კანკალით ხელთათმანთ იცვამს, ცილინდრის (კასრა ქუდს) დაიხურავს, პაპიროსს ამოიღებს და ცახცახით პირში ჩაიდებს, ასანთს ძლივს გაჰკრავს და ხელის ჩრდილებით უკიდებს, თან დროგამოშვებით საიდუმლოებით მოცულ ოთახისკენ გაიხედვს დამფრთხალი ნადირით — თვალითა ისარს გასტუორცინის და მით ურუანტელს ჰგვრის დარბაზში მსხდომთ, ფეხაკრეფით გაჰქრება სცენიდან... ეს გავრძელდა თითქმის 7 წუთი. სცენა დაცარიელდა, დარბაზი სულშეგუბებული ერთხანს ხმაგაქმნილი, თითქო ვერც კი მიხვდა, რომ მათს წინაშე იდგა ის ფენომენი მსახიობი, საოცრება, რომლის ყოველ გამოჩენას და სცენიდან გასვლას მზურკველ ტაშით აკილდობდა, — ახლა რამ დაადუნა ხელი?! მაგრამ ჭაღო-ხელოვანისგან გამოწვეულმა მოჭადღებამ გაიარა და იქუხა ტაშმა...

მსახიობის ასეთი ჭადონობა არც მანამდე მენახა და არც შემდეგ მინახავს... თვით პირველ ხარისხიდან მსახიობთაც კი არ მოუხდენიათ ასეთი შთაბეჭდილება...

ამ დროიდან დავრწმუნდი, რომ ჩემის ღრმარწმენით, ლალო იყო საერთოდ და განსაკუთრებით, ქართული სცენის სული, გული და გრძნობა!

ბაზირმეზის ბეჭედი

სამწარმო-სათეატრო სარბიელზე მუშაობამ ლალოსთან დამახლოვა. კერძო ცხოვრებაში ლალო იყო ზრდილობიანი, თავაზიანი, გულისხმიერი, მწერლობისა და სასცენო ხელოვნების ღრმად მცოდნე, საერთოდ განვითარებული და ინტელიგენტი, — იმ დროის ქართველ მსახიობთა შორის ინტელიგენტობის იშვიათი განსახიერება.

სათეატრო-სასცენო ხელოვნების შესახებ მსურდა მისი წერილობითი მრწამსი, შეხედულება და დებულებანი, ამისათვის ვეწვიე ბიზნუსს. იმ დროს ცხოვრობდა აწინდელი აკაკი წერეთლის ქუჩაზე, მიწის პირა ხართულზე.

ოთახი მაინცა და მაინც ვერ დაიკვირებდა მოწყობილობით, როგორც ლალოს მკუხარე სახელს შეეფერებოდა.

ჩემი მიხვლის აზრი ვაგუზიარე, „ნახოთო“, მიასხუხა. შევატყვე, გუნებაზე არ იყო, უფრო სხვა საწინთა გააცხებულს მგავდა, მაინც მითხრა: ჩვენს თეატრს გადახალისება ეჭირებოდა, ნიჭირ ახალგაზრდებს სასცენო აღწრდაო, მისმა მეუღლემ შემოგვიტანა ჩაი და მხოლოდ პური. იმ დროისათვის ეს სიღარიბის მანიშნებელი იყო.

მართლაც, ლალოს ხშირად უჭირდა. ძუნწი არახოდეს არ უფიქლა ფულის ხარჯვაში, თუკი ჰქონდა, ხელის მოკრე არ იცოდა. ჩვენი სცენის მართალი

1910 წ. მ ოქტომბრიდან 1914 წლამდე პოლიტიკურ-რევოლუციური ე. წ. „დასაშაულის“ გამო ნიკოლოზ II შთავრობის ხარკით მეტის ცხებში გახლდით 4 წ. კატორვა მისჯილი, ხან დაბორკილებული, ხან ბორკილ აყრილი ციხის ერთეულ საკანში. პატიმრობის დროს, დროგამოშვებით ციხის სტამბაში ვმუშაობდით რედაქტორ-კორექტორად, მეტწილად ხაზინის სახარგებლოდ. 1913 წ. დასაწყისში სტამბაში შემოიტანეს „სახალხო გაზეთი“-ს თებერვლის ერთი ნომერი, რომელშიაც აღწერილი იყო ლალოს სასცენო მოღვაწეობის 30 წლის შესრულების იუბილე, აგრეთვე ხელთ გადაწერილი ვაფა-ფაშაველას ლექსი, იმ ხანად საკომპოზიტორო დიდი ნიჭის მქონედ ცნობილი კიუსუა სულხანიშვილის მიერ სასიმღეროდ გარდაქმნილი, რომელსაც ახლა აღბად ყველა ხელოვან-მწიგნობარი იცნობს, ბეჭედიოაც ვაგრეკებულა. მე მაინც ამ მომყავს იმის ცხადსაყოფად, ჩვენი დიდი პოეტის სცენის დიდ ქურუმს რა მზრივ აფახებდა.

ქართულ თეატრის მშვენივალე, დმერთმა აგხადოს წყნეთ, ვნებათ რაზმებში მებრძოლო სალოამ მოგვიდგინათ ყველაო, აპოლონისა ტაძარი შენს თვალ ცრემლს დეისველაო, ქართულად ბეჭეწებოდი: ქართველებს მიეც შევლაო! ერთ დროს შეწირვა მსხვერპლისა ძალიან გავიწინდლაო, მაინც არჩიე უცხოურს სამშობლო დედის კერაო, სამშობლო დედის ძუძუსა სხვა შეედრება ვერაო, ეს კიდევ კარგად გცოდნია იმთაგლეგრძელეთ ყველაო!

„სახალხო გაზეთი“-ს წემოსხენებულმა ნომერმა და ამ ლექსმა ციხის ჩაკეტილი საკნები მოიარა, ვინც არ იცნობდა, ბეგრმა მაშინ გაი-

გო ლაღოს დიადობა და ამოიკენეს: „ზაი, დედასა, რა დიდი ამბავი ყოფილა, ცალი თვალით მაინც დამენახაო!“ ხოლო მე გული ნა-დვრელით ამეგო, სეგდამ მომივიდა, რომ არ მე-დღობსა ერთი ვარდი მაინც მეძღვნა იმისათვის, რომელიც მუდამ ჩვენი სცენის მისის ვარდი იყო...

როგორც ცნობილია, ლაღო მესხიშვილის ამ იუბილემ ეროვნული წვიმის ხანაით მიიღო და ქართველთა გათვითცნობიერებისათვის იმ ხანად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა!...

ალმონინიანის ბზახვ

მინიან განმოსვლის შემდეგ, 1914 წ. მარტიდან უფროსი „თეატრი და ცხოვრება“-ს გამოცემა განვახლებ ჩემს მეუღლის ანა-უფროსი-იმედიაშვილის ხელმოწერით, რადგან მე შეფის მთავრობისაგან უფლებდა-აყრელი მქონდა, ხოლო ფაქტურად უფროსი მევე ვხელმძღვანელობდი, როგორც რედაქტორი.

ამ წელს, სხვათაშორის, ჩვენი უფროსის „თეატრი და ცხოვრება“-ს ახლო მოაწილეობით მოწვეული იქნა „სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა პირველი ყრილობა“, რომლის პრეზიდიუმის საპატიო თავმჯდომარე იყო აკაკი წერეთელი, მის ამხანაგებად (ანხანათრიგზე): 1. აბაშიძე კიტა; 2. ალექსი-მესხიშვილი. ვლადიმერ; 3. ბარათაშვილი იოსებ; 4. კრინიცი (დარახველიძე) აღ; 5. ლასხიშვილი გიორგი; მდივნებად: 1. ანდრონიკაშვილი კოწყე 2. დადიანი შალვა; 3. იმედაშვილი იოსებ; 4. ითეთელი (კალანდარი) პოლი; 5. რომანიშვილი იოსებ და 6. ქანტურიშვილი სიო.

ილია ჭავჭავაძის სიცოცხლის დროს თუ საქართველოს საიდუმლო მთავრობად „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობა იყო მიჩნეული, ამ ფამად ასეთად ეს „სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა ყრილობის პრეზიდიუმი“ იყო ცნობილი. ამ ყრილობამ ერთი კვირა იმუშავა — 1914 წ. 8 ივნისიდან 15 ივნისამდე. ამ პრეზიდიუმის წევრი და თავმჯდომარის ამხანაგი, როგორც წევრთ აღვნიშნე, ლაღოც იყო და ყრილობის მუშაობაში ცხოველ მონაწილეობას იღებდა, ამ ყრილობაზე ლაღომ მოსხენებაც წაითხა „ბენეფისისა და იუბილემ შესახებ“, რის გამოც ყრილობამ დაადგინა:

„რადგანაც დღევანდელი სახე ბენეფისებისა და იუბილემისა შემაფერხებელია ხელოვნებისა, საზოგადო ქართული სცენის ხელმძღვანელთათვის და შეუსაბამო თვით მსახიობთათვის, ყრილობა სურვილს აცხადებს სრულიად მოსიძნის ოუბლეებისა და ბენეფისების დღევანდელი წესი. სასურველია მხოლოდ აღნიშნულ იქმნას 15, 25 და 40 წლის დღე მსახიობის

სამსახურისა. თუ როგორ სახეს მიიღებს ამ დღეთა აღნიშვნა, ეს დამოკიდებული იქნება თანამედროვე პირობებისაგან (მსახიობთა მთავრადმსახურება, სიყვარული და პატივისცემა). ეს სურვილით უსათუოდ უნდა განხორციელდეს დღესვე დიდ ცენტრებში, ხოლო სხვა ადგილებში შემთხვევადგავარად დაუახლოვდეს ამ სურვილს, რაც შეიძლება მაღე. რადგან ბენეფისი ერთგვარი წყაროა ისედაც საქმოდ არა უზრუნველყოფილ მსახიობთათვის, საქმის მწარმოებელმა ამას ანგარიში უნდა გაუწიოს“.

ამვე ყრილობამ, ლაღოს მოსხენების გარდა მოისმინა მოსხენებანი: 1. შალვა დადიანის — „რეპერტუარის შესახებ“, 2. კიტა აბაშიძის — „რეცენზია და თეატრალური კრიტიკა“, 3. არჩილ ავალიშვილის „ქართული ენის შესახებ“, 4. პეტრე მირიანაშვილის — „ქართული თეატრის დასაბამის შესახებ“, 5. აკაკი ფალავას — „სახცენო ხელოვნების შესახებ“, 6. ექიმ ვახტანგ დამბაშიძის „დრამატული კურსების დაარსების შესახებ“, 7. ჯაჭანაშვილის — „სოფლის თეატრის შესახებ“, 8. გ. აბრახამისა და ა. ფალავასი — „რეჟისორის შესახებ“, 9. ექიმ ვუწუნავას და ა. ფალავასი — „მსახიობის ვითარების შესახებ“, 10. იოსებ იმედაშვილის — „სახალხო თეატრის შესახებ“ და სხვა. ყველა ამ საკითხზე ყრილობამ საკანგებო დადგენილება გამოიტანა („თეატრი და ცხოვრება“ 1914 წ. № 17, გვ. 12-14).

ამ ყრილობაზე მოსმენილი მოსხენებანი, თვით ლაღოსიც, შორაპანის (მ. გაჩეჩილაძის) სტამბას გადაეცა დასაბეჭდად, რომლის გამოც სცენა თანა გ. ლასხიშვილის მეტადინილი ბაყმა გადასდო. ამ საქმის გაძლიერა მიენდო ქ. ანდრონიკაშვილს, შალვა დადიანს და ამ სტრიქონების დამწერს, — უმთავრესად მე ვხელმძღვანელობდი, რამდენიმე ფორმა დაიბეჭდა კიდევ; მაგრამ იმ დროის ჯერ ომისა და შემდეგ რევოლუციის გამო ამ ძვირფასმა მასალებმა შვის სხივები ვერ იხილა.

ამ ყრილობის შედეგების შესახებ, ჩვენი საზოგადოების თავმჯდომარე, სახალხო არტიტი შალვა დადიანი ერთ-ერთ თავის წერილში („ჯამი“), სხვათა შორის წერდა:

„რაგინ მოელოდა, არავის სჯეროდა, თუ ასე რიგიანი და შინაარსიანი სხდომების წაყვანა შეგვეძლო ქართველებს... მაღლობა ღმერთს, სცენის მოღვაწეთა ყრილობამ მაინც გვაძნეო, რომ დამჯდარი ბაასი და პარლამენტარული კამათი ჩვენც შეგვიძლია და ისიც ჩვენს მშობლიურ ენაზე“. („თეატრი და ცხოვრება“, 1914 წ. № 22, გვ. 5) ხოლო ამაზე ადრე, თვენახევრის წინათ. ყრილობის გახსნის დღეს, 8 ივნისს, ჩემს მეთაურ წერილში „რას გვავალდებს დღევანდელი ყრილობა“, ვწერდა: „...ამ ყრი-



ლობამ უნდა ჩაუყაროს საძირკველი ჩვენის სცენის განახლება-ალორბინებასა და ამით ზე-ლი შეუწყოს ქვეყნის გათავისცნობიერებასა და წინსვლას...“ („თეატრი და ცხოვრება“, 1914 წ. № 14, გვ. 1.)

ამ ყრილობის ერთი მთავარი სულისჩამდგმელთაგანი იყო სულმნათი ლალო მესხიშვილი. „დაინთბა ჩემი საბუნებისმეტყველო“

ამავე წლის (1914 წ.) 25 სექტემბერს მუხანათურად გაჩენილმა ხანძარმა ჩანთქა ქართული თეატრი. ამან თავზარი დასცა მთელ შეგნებულ ქართველობას. ყველა ისე განიცდიდა, როგორც მშობელი ღვიძლი შვილის ან შვილი საყვარელი მშობლის დაკარგვას... ჯერ ნახანძრალის ბოლი ისეც ხრჩოლავდა, რომ ერთ დღით, ენოში გადაყრით სარედაქციო მასალებსა და წერილებს ვკრეფავდი (ამ თეატრთან დაიწვა ჩემი რედაქციაც). ამ დროს შეგნებულ ენოში ჩქარის ნაბიჯით შემოვიდა ლალო, საშინლად სახე აღეწილი, აღშფოთებული, — თურმე ამ დღით ჩამოსულიყო ქუთაისიდან, ცხარე ცრემლით ავჯივინდა, ამ ისედაც გულმოკლულს ხმის ამოღება არ შემეძლო და როდესაც ერთი ჩვენი თანამშრომელი გამოვ-ლაპარაკა, ლალომ გაუღივიციანებო მთლიანაპარაკა: „დაინთქა ჩემი სამლოცველო“, და მეორე დღითვე ქუთაისს გავმგზავრა.

ჩვენმა შურნალმა ღრმა რწმენით გამოაცხადა: „დაიწვა ძველი — გაუმარჯოს ახალს!“. („თეატრი და ცხოვრება“ 1914 წ. № 31 გარე-კანზე). ამავე აზრს იმეორებდა ყველა შეგნე-ბული ქართველი.

მთელი ქართველი ხალხი ამოძრავდა, ახალი ქართული თეატრის ასაგებად შემოწირულებების შეგროვება დაიწყო.

ომის ხანა იყო და ეს დიდი საქმე არც თუ ისე ადვილად ხერხდებოდა, ქართული თეატრი დიდს გასაჭირში ჩავარდა. პირველი პროგრესის საპრობლე...

...ღმ როცა ჩვენი ქართული თეატრი გან-საცდელი იყო, სასტიკ ქაანწყეტაში, ცა-რიში ყოველი ღონისძიებით — სკოლით, თე-ატრით, ციხე-ციმბირით, აშკარა თუ ფარული, ქრისტიანული და არა ქრისტიანული მუხანა-თობით ქართველი ერის კულტურის ნასასს სპობდა, გადაგვარებისკენ მიგვაქანებდა, ჩვენი მშობლიური თეატრი ცარიზმის შავრავშელმა აგენტებმა დაგვინთქა. სწორედ ამ დროს, 1916 წელს საზოგადოებაში ხმა დაიბნა, რომ „ვლადიმერ სარდიონისძე აღექვებ-მესხივ-მა“ (ჩვენმა საყვარელმა ერისაგან დაგვარგვი-ნებულმა ლალო მესხიშვილმა) რუსული დასი შეადგინა და ქუთაისში იწყებს რუსული წარ-მოდგენების მართვასო.

ამ ხმამ საერთო აღშფოთება გამოიწვია იმათ გარდა; რომელნიც გადაგვარების გზას

დასდგომოდნენ და მშობლიურს ყოველივეს აბუჩად იღებდნენ... აღაშფოთა ყველა მშრ-წივე ქართველიც, მიუხედავად იმისა, შრომ-ვე-ლა კეთილშობილი რუსი ჩვენი მეგობარი იყო, რუსმა დიდმა მწერლებმა ალ. პუშკინმა, გრიბოედომმა, მიხ. ლერმონტომმა ჩვენის სამ-შობლოს მწირობით განაზრწყინეს თავისი შემოქმედება, დიდმა ლეე ტოლსტოიმ და მაქსიმ გორკიმ აქ — საქართველოში დაწერეს თავისი პირველი ნაწარმოებები და მათი პირვე-ლი სიტყვა ჩვენის ქვეყნიდან მოეფინა დიდ რუსეთსა და მსოფლიოს... და ბოლოს, მიუხე-დავად იმისა, რომ პირადად მე — ი. წინამძღვა-რის ფსევდონიმით შევადგინე აღ. პუშკინის შესახებ ქართულად პირველი წიგანი (გამო-ცევი 1899 წ.), ასევე მ. გორკის მოთხრობათა პირველი წიგნი პირველად მევე გამოვიცი ჩე-მის წინასიტყვაობით და მიუხედავად იმისა, რომ ლალოს, როგორც სცენის უდიდესი ქუ-რუმს, თავყანს ვსცემდი, სამხედრო სასამარ-ლოში მიხმა შევიღმა, — დიდად პატივცემულ-მა შალვა მესხიშვილმა სრულიად უსასყიდ-ლოდ დამიცვა და მსურველ მონაწილეობა მიიღო ჩემი საკატორლო სასჯელის შემსუბუქე-ბაში, — დიდად, მიუხედავად ყველა ამისა, ლა-ლოს წინააღმდეგ სამღურავთ აღსავცე წერი-ლი დავწერე და გამოვაქვეყნე — ექიმი შტოკ-მანის ფსევდონიმით, სათაურით „შალდურნი“, რომელმაც იმ ხანად ქართველ საზოგადოებაზე არკი შეზაბედილება მოახდინა; ისიც შევიტყ-ვე, ეს წერილი ლალოს რომ წაკითხნა, ერთ ხანად განაწყენებულიყო და ეთქვა: „აი, რო-გორ მდევნიანი!“ მაგრამ როცა შემხვდა, მის წინაშე ბოლომე მოვიხადე: „შაპაკეთ თუ ჩემს უნებლიეთ გული გატკინეთ“ — მეთქი. სრუ-ლიად უბრალო იერით გადმოხმდა, ხელი ჩა-მომართვა და მითხრა:

— როცა საქმე ერს ეგება, ხალხის საქმეს, აგრე უნდა მოქცეულიყო, — პირველყოფი-სა საერთო... შენს ადგილას მეც აგრე მოვიქ-ცეოდი!...

და კიდევ ხელზე ხელი მიმოიჭრა! ჩხ, რა რიგ მომეშვა გულზე... ოპს შემოირიგდა!...

დიდუბუნებოვანი ლალო მიმიხვდა, რომ მას-თან საპირადლო არაფერი მქონდა, — კერძო, პირად მეგობრობასა და ნაცნობობაზე საზო-გადლო, საერთო მაღლა დავაყენე...

* გამოჩენილი მწერლისა და თეატრალური მოღვაწის იოსებ იმედაშვილის ეს მოგონება დაცულია მის პირად არქივში. იგი მოგვაწოდა მწერალმა კ. იმედაშვილმა და გებქდათ მცო-რედი შემოვლებით.

* 1950 წელს შალვა დადიანი იყო თეატრა-ლური საზოგადოების თავმჯდომარე (კ. ი.).



ღვაწლმოსილთა გაცხადება

ალა გაციჩილაძე

ცაცა ამირაჯიბი

1911 წლის ზაფხულზე ცაცა მშობლიურ სოფელში ისვენებდა და ხელფაქრობის გამო მოსკოვში თეატრალური განათლების გასაგრძელებლად წასვლის იმედით აღარ ქონდა. მოულოდნელად ლაღო მესხიშვილისაგან ბარათი მოუვიდა. ეს სათაყვანებელი ადამიანი თეატრში სამუშაოდ ეპატებოდა.

იმავე ზაფხულის დამლევს ქართული თეატრის აფიშა საზოგადოებას აუწყებდა ამ დღეებში დეზიუტანტის ცაცა ამირაჯიბის იხილავთ.

დადგა პრემიერის დღეც. ცაცა ისე დელავდა, რომ აღარც კი ახსოვდა, როგორ გაუკეთეს გარძი და მორთეს ზეინების მამოსით. სცენაზე გასვლის წინ მესხიშვილმა ურრადლებით შეათვალა. გარეგნული სახე მოუწონა და დარიგებაც მისცა.

გახსნა ფარად, ცაცა შეკრთა, მაგრამ არ დაიწყო დაილოგი თათარბეგთან: „...მე, ვოცნე ბობი დელოფად თამარის!.. მე კი მინა ვარ და არა დელოფად...“

იგროლა ტაშმა. ახალგაზრდა ქალის ხვერღოვანმა ხმამ და მშვენიერმა ქართულმა მეტყველებამ მოხიბლა მაყურებელი.

მეორე დღეს ცაცა ამირაჯიბი ჩარიცხული იქნა დასში, რომელშიც ბრწყინვალედ ლაღო მესხიშვილი და ვახო აბაშიძე, მაკო საფაროვა და ნატო გაბუნია, კოტე მესხი და კოტე უფიანი, ნინო ჩხეიძე, ალექსანდრე იმედშვილი და სხვანი. ამ სეზონში, ცაცას დაკვირვებ მოუტანინს როლის შესრულება. დავით ერისთავის პიესაში „სამშობლო“, მაგრამ ქეთევანის სახე მას არადაამაჩერებლად იჩვენებოდა და ფიქრობდა მისი დაძლევა მხოლოდ დაოსტატებულ მსახიობს უნდა მიენდოს. ამიტომ უარი თქვა როლზე, რას გამოკერო თვის ხელფასის დაბარიმეს.

ამის შემდეგ დაიდგა ზუღერმანის პიესა „აედამყოფი ხალხი“. აქ, მთავარი გმირის როლებების როლს ასრულებდა ლაღო მესხიშვილი მის უმცროს დას — ცაცა ამირაჯიბი. ამ სექტაკლში, მესხიშვილს ქონდა უხიტკეო სცენა-პაპიროსით თამაში — მისი ბრწყინვალე ოსტატობის ერთ-ერთი ნიმუში, რომლის შესახებაც მრავალჯერ თქმულა და დაწერილი. ამ ჩაქოქარმა მსახიობმა ისე გაიტაცა ახალგაზრდა ცაცა რომ სრულიად დავიწყდა რისთვის იყო სცენაზე! საკუთარი საქციელი შეწყვეტილი მოქმე-

დების დამთავრების შემდეგ დამანაწვესავით დადგა კოხტოში და ფიქრობდა, მესხიშვილი დამსჯიო, მაგრამ ლაღო დიმილიძე შეხვედრდა და საუვედურის მაგვარად ხუმრობით უთხრა: „არც ცხოვრებაში და არც სცენაზე, არ გარჩევთ ჩემით ვატაცებასო!“

„აედამყოფი ხალხის“ შემდეგ, ცაცამ თამაშა თამარ დელოფალი, კოტე მესხის „რუსთველში“, გენრიეტა დენერისა და კორმონის „ორ ობოლში“, თავადის ქალი — გედევანიშვილის „გამეცემში“, კრუჩინის — ოსტროვისის „უღანაშაული დამანაწვენიში“, ტერევა — ფაფაზიანის „კლდეში“, კალფურნია — შექსპირის „იულიუს კეისარში“, ვიტაბინე — მალტმაინის „ჩაძირული ზარში“, მამა — გოლსტრას „ცოცხალ ლეში“, გოგო ელენე — ბედევანიშვილის „მხვერპლში“, მერტრუდა — შექსპირის „ამლეტში“ და სხვ. სული ჩვიდმეტი როლი. ზოგიერთი მათგანის შესრულებისთვის ქებაც დაიმსახურა. განსაკუთრებით აქვს იგი გოგო ელენეს როლში.

სეზონის დამთავრების შემდეგ, ცაცა დასავლეთ საქართველოში გაეყვა ცაცა საფაროვას საიუბილეო მოგზაურობაში, რომელიც მანინამ წელს იყო გადაცილებული და სმენაც დაკარგული ქონდა, მაგრამ მანაც ჩვეული ბრწყინვალეობით ასრულებდა პარჩეული ბიჭის როლს ბაიარისა და ვანდერბურგის ამავე სახელწოდების პიესაში.

ცაცა პარიზში ბიჭის დას — ლუიზას თამაშობდა და მან, იმ მოგზაურობისას, პირველად ნახა, თუ რას ნიშნავდა მაყურებლის პატივისცემა, როგორ გამოხატავდა ამას მადლიერი მაყურებელი. ზუგდიდელეგმა მაკო საფაროვა საზეიმოდ მორთული ექვსი ეტლით გამოაცილებს და ვითარცა დელოფალს, გზაზე ფანდელად უფენდენ ვარდ-ყვავილების თაფლებს...

ცაცა ამირაჯიბმა შემდეგი სეზონი ქუთაისში გაატარა, სადაც თეატრს მიხილ ქორელი ხელმძღვანელობდა.

პირველი როლი, რომელიც ქუთაისში თამაშა, იყო გუვერნანტა — ნეობიტის პიესაში „დედაკაცი და დედა“. ამ როლის შესრულებისას ცაცა მუდამ ილუფავდა, რადგან დედის როლს ასრულებდა ქართული სცენის მშვენიესა ნუცა ჩხეიძე და მისი პანტიონრობის გაწევა დიდ პასუხისმგებლობას აკრძობდა ახალგაზრდა მსახიობს. ცაცა დააფრთხო ნუცას გვერდით დგომამ, მაგრამ მიხილ ქორელი ძალა შემება, სულიერად გაამაგრა იგი და პრემიეტა ისეთი ტრიუმფით წავიდა, ისეთი აღტაცება გამოიწვია, ტაშის გრაილს დასასრული აღარ უჩინა. ფარად, რამდენიმეჯერ გაიხსნა.

ნუცას ვიტყოფოლონი თამაშით მოხიბლული ცაცა მაგარად უტარავდა ტაშს მაყურებელთა ერთად და საკუთარი თავი დავიწყებოდა, მაგრამ აი, მოულოდნელად მისკენ გამოემართა თვით ნუცა ჩხეიძე. მკლავში ხელი ჩაჰკიდა და გვერდით დაიყენა. კვლავ მუხბარე ტაშმა შეაჯანჯარა დარბაზის კედლები. მეორე დღეს ცაცას დიდი ქება დაიბეჭდა გაზეთებში. მგოსანმა იოსებ გრგოშვილმა თავისი აღტაცება ლექსით გამოხატა. ცნობილი ქართველი კრიტიკოსი კობა აბაშიძე კი ყველას ურჩევდა ქუთაისის სცენაზე ენახათ კარგი ქართული მოლაპარაკე, შესანიშნავი გრგოშისა და შთამავლენებული ხმის მქონე ახალგაზრდა მსახიობი ცაცა ამირაჯიბი. ეს იყო 1913—1918 წლის სეზონი.

ცაცა ამირაჯიბი შემდეგ სეზონში სამუშაოდ



წავიდა ბაქოს ქართული თეატრში, რომლის დას. შიაც 1904 წლიდან მუშაობდა გამოჩენილი ქართველი მსახიობთა მთელი კლასი.

პირველი როლი, რომელიც ცაყამ ბაქოში შეასრულა, იყო ოლოლი ანდრეევის ცნობილ პიესაში „ღდენი ჩვენი ცხოვრებისა“. ამ როლში სრულ წარმატებას მიაღწია. ეს წარმატება კიდევ უფრო განაშტეტავს ქართველის უხადლო შესრულებით. ქართველის ერთი ხასიათი ისე სწორად გახსნა, ისეთი გრძნობითა და ტემპერამენტით შეასრულა, რომ მაყურებლის სრული პატივისცემა მოიპოვა და პირველსავე სეზონში გაუმართეს ბენეფისი. ამ დღისათვის წარმოდგენილი იქნა ნიკო შიუკაშვილის „მთხ ზღაპარი“, რომელშიაც ცაყამ ასრულებდა გელოს როლს.

ამის შემდეგ ცაყამ ერთი წელი გაატარა თბილისში და მომდევნო სეზონიდან კვლავ ბაქოს ქართული თეატრშია. ამ სეზონს ხელშემდგენლობდნენ გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები და რეჟისორები შალვა ღაღანიანი და ალიქსანდრე წუწუნავა.

განაწილეს როლები სანდრო შანშიაშვილის პიესისა — „უგვირგვინო მეფენი“. ამ პიესაში ცაყამ როლი არ ერგო. მაგრამ შალვა ღაღანიანი დავაღალა შეერსრულებინა აღმოსავლური ცეკვავევრ წარმოდგენა, როგორ იცეკვებდა სცენაზე? ბერი ცეკვა აეცილებინა მისთვის უჩვეულო მოვლენობა, მაგრამ უშედეგოდ. რეჟისორის თა. ვიწინაი უარი ურყვენი გამოდგა. პირიქით: ღაღანიანი ეს ცეკვა ისეთი მოქარაული ენით აღწერა, დაუხატა, რომ ცაყამ ცეკვის სურვილიც კი აღატრა. რეპეტიციებზე მოუყვანეს აღმოსავლური დასბა. ქიანური, თარი და დარბა. მაგრამ ცაყამ, რატომღაც დაიპრცვიდა და რეჟისორის თხოვა: ოღონდაც ახლა ძალას ნუ დანახატან და პრემიერაზე ყველაფერს გავეკეთებო!

დაღვა პრემიერის დღეც. დაიწყო სექტაკლი. დარბა აღმოსავლური ხატეკელო მანგე და შიში გაქრა, მისი ადგილი უჩვეულო სითამამემ დაიქირა. იგი ჩიტავით შეფრთხილდა და სცენაზე გაიქრა. ცაყა ამირეჯიბის მუღამე უყვირდა თურამ შთაბერა ამდენი გამბედობაბა, ენერგია?! როგორ იგონებდა იმდენ მიმზიდველ და შინარსიან ოლითებს?! ცეკვის დასასრულს დარბაზში ძლიერმა ტაშმა იგრიალა, „ვაშა“-სა და „ბის“-ის ძახილს დასასრული არ უჩანდა.

ბაქოს ქართული თეატრში ცაყა ამირეჯიბის მოღვაწეობის დროს მოხდა ერთი მეტად საყურადღებო ამბავი — იმ დროის ქართულ თეატრს პიესების დიდი კრისიბი ქონდა. პიესების სიმყირის გამო ხშირად შეიერებულა თეატრის მუშაობა ან, ერთი და იგივე პიესა რამდენიმეჯერ გაუმეორებიათ. სწორედ მან აიძულა შალვა ღაღანიანი შეეცმნა უკვდავი „გუმონდელინი“. ამ პიესაში ცაყამ კნენია ჩიტუნიახ როლი შეასრულა.

ცაყა ამირეჯიბი განსაკუთრებით უხვამდა ხაზს კნენია ჩიტუნიახ პირად ეგონისტურ ინტერსებს და გასოცარ გულერბობობას სხეებურადმე. ამით ცდილობდა ეს როლი ნამდვილმამხილებელ მახედ ექცია და მიზნადაც მიაღწენა. მაყურებელი დარბაზს სტოვებდა იმ შეკენებით, რომ კნენია ჩიტუნიახ და მისი მსგავსი ადამიანების ბრიალა სოფელი, რომ მოუვლელი დარჩა, რომ ხალხმა დროზე უნდა მოიშოროს ასეთი ხორცმეტები.

ამვე სეზონში ცაყა ამირეჯიბმა თავის საბენეფისოდ დაღვა ვ. ყოფიანის ისტორიული

დარბა „სამეგრელოს მთავარი ლეენი“ და მვეთონ თამაშობდა დარეკანის როლს.

